გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№28 (923) 24 - 25 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

გრამაფონსმილდა გაზაფხულია

ის, რაც ხდებოდა წინა ჰვირაში

რუსული გეგმა, რის გამოც შს ექსმინისტრი თემურ ხაჩიშვილი მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა

რა კავშირი აქვს პროკურატურაში სააკაშვილის დაბარებას 17 მაისს დაგეგმილ პროვოკაციასთან

გვ. 5

მერაბიშვილმა სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა?

სააკაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ ანუ ყველანი ციხეში

„მე ვარ საქართველოდან... ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ არ გეთანხმებით!“

რატომ შეეკამათა ქართველი ჟურნალისტი ევროპარლამენტის პრეზიდენტს

გვ. 4

„ინფორმაციის არამართლზომიერი მოპოვების აღმოფხვრის მიზნით შსს-მ უკვე გაატარა ღონისძიებები“

რამდენად კანონიერად გროვდება და მუშავდება მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები სხვადასხვა უწყებაში

გვ. 7

დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვებისთვის თბილისში, „მზის შვილების“ ინიციატივით, უფასო სარეაბილიტაციო ცენტრი იხსნება

გვ. 9

თიბისი ბანკი TBC BANK

საქართველოში 2014 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა

გვ. 3

დიტო გელოვანი

„ახლა კი, თქვენ, არა, თქვენ კი არა, არა თქვენ, არამედ თქვენ, — თითი მიაბჯინა დუილიომ კუმეოს, რომელიც ემალებოდა, — რას უფრო აფასებთ თქვენი თანატოლების ბუნებაში: ფიზიკურ ძალას, გონებრივ მონაცემებს, რაც საწინდარია ღირსშესანიშნავი გამარჯვებებისა, უჰ, დაცხა, ხო იცი, თუ ნამდვილ ადამიანობას, ანუ პირდაპირობას, რომელიც ჩვეული ოსტატობით ძერწავს სათქმელს?“ „მე, არა? — თითი მიიდო გულზე კუმეომ, უცებ შეიცვალა, გაამაყდა, — მე მგონია, რომ ადამიანი უნდა იყოს ჭკვიანი, გონიერი, პირში მთქმელი და თუ ღონიერი იქნება და ფულიც ექნება ჯიბეში, ამით არაფერი დაშავდება“. „აჰაა, — კიდევ უფრო გაიმართა დუილიო, — ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ადამიანი უნდა იყოს ბევრი დადებითი თვისებით შემკული?

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

გრამაფონსმიღმა გაზაფხულია

ეს ამბავი ორიოდე თვის წინ ერთმა უაღრესად გონიერმა ადამიანმა მომიყვა: „ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი პამირში, კომუნიზმის პიკის დასალაშქრად ემზადებოდა. მაშინ ჩვენ ჰიმალაებში ვინ გაგვიშვებდა, ჰოდა, კომუნიზმის პიკი ჩვენთვის ევერესტიც იყო, კანჩენჯანღაც და ანაპურნაც. იქ ასვლაზე ყველა საბჭოთა მთამსვლელი ოცნებობდა. იმ ჯგუფში, წეღან რომ ვახსენე, გიორგი მარგველაშვილიც შედიოდა. მზადების ბოლო დღეები იყო, საათებს ვითვლიდით და ამ დროს მარგველაშვილმა თქვა, ერთი ალპინიზმის დედაცო, შეკრა ბარგი და... თბილისში წავიდა. ეს იმას ჰგავს, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუს“ შესასვლელში რომ იდგე, „რეალი“-„ბარსამდე“ ნახევარი საათი რჩებოდეს, ბილეთიც გქონდეს და ამ დროს თქვა, ერთი ფეხბურთის დედაცო და... თბილისში გამოფრინდე. მარგველამ ბიძო მაგრად დააგოიმა. ნახავ, მთელი სეირი ჯერ კიდევ წინ გველის“.

როგორც უკვე გითხარით, ეს ამბავი ერთმა უაღრესად გონიერმა ადამიანმა მომიყვა.

საქართველო გონიერი ადამიანების ქვეყანაა, მაგრამ პოლიტიკოსები მათ არ უსმენენ, როცა უსმენენ, ვერ უგებენ და რადგან გაგებაა მთავარი, ამიტომაცაა, რომ ამდენი წელია დიდ გაუგებრობაში ვიმყოფებით, მზე ხან ჩრდილოეთიდან ამოდის, ხან დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან ამომავალი მზე დასავლეთში ჩადიოდა, დასავლეთიდან ამომავალი მზე კი ჩრდილოეთში ჩადის.

ჩემი მეგობრის მეგობარი ჩემი მეგობარიაო, — უთქვამს ჭკვიან ხალხს, მაგრამ, თუ ჩემი მეგობრის მეგობარი ჩემი მტრის ძმა და მეგობარია, მაშ ჩემი მეგობარი ვინ გამოდის? ჩემი მეგობარი გამოდის ჩემი მტრის ძმისა და მეგობრის მეგობარი, ან ის ჩემი მეგობარი აღარ არის, ჩემი მტრის მეგობარია. ასე მგონია მე, მაგრამ ჭკვიან ხალხს ისიც უთქვამს, „მგონია“ გრამაფონშიაო. ჩვენც გრამაფონში ვართ.

გრამაფონსმიღმა გაზაფხულია. და რა ხდება გრამაფონში? გრამაფონში ხდება ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში. ანუ, რაც ხდებოდა, ისევ იგივე ხდება — ქურდები ქურდობენ, მათხოვრები მათხოვრობენ, ბო... პოლიტიკოსები პოლიტიკოსობენ, ვარსკვლავები მღერიან და ცეკვავენ და ენჯეოშნიკებიც მათხოვრობენ. ამ ენჯეოშნიკებიდან იღებს შევსებას პოლიტიკოსთა, ექსპერტთა და ვარსკვლავთა მრავალათასიანი არმია. მათ კვლავ უსმენენ და ეს ჩვენ გვეხება. იქ სესიაშვილიო, იქ ჯანიკაშვილიო, იქ ამაღლობელიო, ანთაძეო, ქორიძეო, არმაზ ახვლედიანიო, მარგველაშვილიო... ვისაც კი ბიძომ ტელევიზორადწოდებულ ყუთში უსმინა, ყველა სადღაც მოსვა და ეს „სადღაც“ სხვა არაფერია, თუ არა ვიღაცის კისერი, ის „ვიღაც“ სხვა არავინ არის, თუ არა მისი დაღმატებულება ქართველი ერი. ერთი ეს ნიუსი წაიკითხეთ: „13 მაისს საქართველოს საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ეწვევა. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისივე თქმით, საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტის დეტალები და პროგრამა ზუსტდება, ამასთან მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ გაზაფხულისთვის საქართველოში არაერთი მაღალი დონის ვიზიტი შედგება“.

არ ვიცი, როგორი იქნება პროგრამა და რა დეტალები ზუსტდება, მაგრამ ზუსტად შემიძლია ვივარაუდო, რომ როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ყველა გაზეთი, სააგენტო და ტელევიზია გვამცნობს, რომ „საფრანგეთის პრეზიდენტი, ფრანსუა ოლანდი შეხვდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი, კერძოდ, აღინიშნა, რომ შეშფოთებას იწვევს უმცირესობათა, განსაკუთრებით კი სექსუალურ უმცირესობათა მდგომარეობა“.

13 მაისს რომ ვამბობთ, პირველ რიგში, დიუსელდორფის „რაინშტადიონი“ და ვიტალი დარასელიას გოლი გვახსენდება, მაგრამ 13-დან 17-მდე სულ ოთხი დღეა, 17-ში კი... ვნახოთ, რა მოხდება 17 მაისს, მანამდე კი ვინმე მშვენიერაძესა და ვინმე მენაბდესთან შეხვედრიდან გამოსული მესსირ ოლანდი გაბრწყინებული სახით გვახარებს: „დავაქორწინეთ, მააშ“.

ეს მერე იქნება. ჩვენ ის ვთქვათ, რაც მანამდე იყო, დღემდე, მაგრამ არაუადრეს წინა ორშაბათისა. ყველაზე მნიშვნელოვანი და სენსიტიურ-სიმპტომატურ-რელევანტური, მგონია, რომ იყო ეს: „არ დავმალავ — ველოდი უკეთესს. პირველი ორი თვე მქონდა საკმაოდ ბევრი პოლემიკა უკვე არჩეულ პრეზიდენტთან. მრავლად იყო გაუგებრობა ჩვენს შორის. ორი თვის განმავლობაში გვქონდა ძალიან ჩაჭიდებული პოლემიკა. პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა... ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ. 60 წლის ვხდები და მსგავსი მაგალითიც არ მახსოვს. დღეს ჩვენ აღარ ვაგრძელებთ არაფორმალურ ურთიერთობებს და ამაშიც ტრაგედიას ვერ ვხედავ. ჩვენ ორივე მხრიდან გადავწყვიტეთ, რომ ეს საჭირო აღარაა და საჯაროდ შეგვიძლია ვისაუბროთ, თუკი მის ირგვლივ რაიმე ხდება“, – განაცხადა ივანიშვილმა „ტელეიმედის“ გადაცემაში „პოლიტიკის დრო“.

აი, მეც 47 წლის ვხდები და არ მახსოვს, კაცს, რომელიც 60 წლის ხდება, არ სცოდნოდა, რომ ადამიანები ხასიათს 45 წლამდე ბევრად ადრე ამჟღავნებენ. ნაცებთან მეგობრობა ხასიათის გამომჟღავნება არ არის? ეგ თუ არ არის და მაშ რაღა არის? კიდევ ბევრ ვინმე-რამეზე გავიგებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი მასთან არაფორმალურ ურთიერთობებს აღარ აგრძელებს და რომ ეს მისთვის, ივანიშვილისთვის სულაც არ არის ტრაგედია, მაგრამ ტრაგედიაა ის, რომ ასეთი ურთიერთობები ჰქონდა სააკაშვილთან, მერაბიშვილთან, ადეიშვილთან, მარგველაშვილთან...

იმ ჩემი გონიერი ნაცნობისა არ იყოს, მთელი სეირი ჯერ კიდევ წინ გველის, სეირთა ერთობლიობა ტრაგედიაა, მარგველაშვილი კი... მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. თუ ბარამიძე-მაჭავარიანებთან მეგობრობ, შენთვის იოლია, ავლაბრის რეზიდენციას ერთ დღეს უზნეობისა და უსამართლობის სიმბოლო უწოდო, მეორე დღეს კი იმ სიმბოლოში დაიდო ბინა არა იმიტომ, რომ პრეზიდენტობა შეიტკბე და შეიკოკლოზინე, არამედ იმიტომ, რომ, უბრალოდ, ასეთი ხარ — უსაქმური, უზნეო და თვითკმაყოფილი ანუ ენჯეოშნიკი, რომელმაც თავისთვის წესად ეს წესი დარგო — „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვინ რა მარგო“.

ტფუ ნა ვას ეშჩო რაზ!!!

ერთმა მითხრა, მარგველაშვილი ფილოსოფოსია, ფილოსოფოსები კი უცნაური ხალხიაო. ჯერ ერთი, ფილოსოფოსი მე ვიცი პლატონი და მამარდაშვილი და მეორეც, თუ ფილოსოფოსი ხარ, სააკაშვილის სასახლეში რა გინდა, წადი და დიოგენეს ბოჩკაში იცხოვრე... მამაძაღლი!

იქ კიდევ იყო რაღაც-რაღაცები — ვანო მაჭავარიანი აბობოქრდა, ირმა ნადირაშვილმა მარგველა დაიცვა, უგულავა გამოექომაგა, კუკავა-მუკავები ახითხითდნენ, ვიღაცას შიოდა, ვიღაცას სციოდა და ვიღაცა ტიროდა. ეგრეა, როცა გრამაფონსმიღმა გაზაფხულია, შენ კი გრამაფონში ხარ ჩაკეტილი, პერიოდი კი არის გარდამავალი, რაც ჩვენებურად დაუსრულებელ ზამთარს ნიშნავს. დაუსრულებელი-მეთქი... აი, დაუსრულებელი ზამთრის პირველი ნიშანი: „პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით ვიზიარებ ივანიშვილის მოსაზრებას. ეს საკითხი არაერთხელ დასმულა პოლიტსაბჭოს სხდომაზე და პოზიციის შეცვლა ნამდვილად არასწორად მიმაჩნია“, – განუცხადა ჟურნალისტებს უმრავლესობის წარმომადგენელმა ზურაბ ტყემალაძემ. მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებები უმრავლესობის ყველა წარმომადგენლისთვის მისაღები უნდა იყოს, რათა კონსტრუქციული მუშაობა შედგეს“.

აქამდე სად იყავი?

ტყემალაძეზე ლევან ბერძენიშვილის სიტყვები გამახსენდა: „მე მგონი, ასეთი კრიტიკა, პირიქით, ძალიან სასარგებლოა. ბიძინა ივანიშვილი შეგვპირდა, რომ ოპოზიციონერი იქნებოდა და ხელისუფლებას გააკრიტიკებდა. თუ ახლა აკრიტიკებს პრეზიდენტს, პრეზიდენტმა და სხვებმაც უნდა მოისმინონ კრიტიკა და თავად გასცენ პასუხი, რა არის სამართლიანი და რა არა, ამიტომ იმ განცხადებებმა, რაც გუშინ გაკეთდა, ჩემზე დატოვა ერთი შთაბეჭდილება – ბიძინა ივანიშვილი, როგორც იყო, ისე რჩება თავისუფალ ადამიანად, რომელსაც აქვს თავისი მოსაზრებები. ნაწილი ალბათ არის სწორი, ნაწილი შეიძლება არა“.

როგორ გგონიათ, ზურაბ ტყემალაძე და ლევან ბერძენიშვილი რომ შევაჯვაროთ, რას მივიღებთ, ბერძნულ ტყემალს? არამც და არამც! მივიღებთ ქლიავს და როდის იყო, რომ ქლიავს საკუთარი აზრი გააჩნდა? სხედან პირდაღებული ქლიავები და რასაც ბიძო ჩასძახებს, უკანვე ამოსძახებენ.

ეეეჰ... ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ! გამოკითხვები რომ ტარდება ხოლმე, რას ფიქრობს ხალხი მთავრობაზე, პრეზიდენტზე ან ამა თუ იმ პოლიტიკოსზე, ალბათ, კარგი იქნება, ისეთი გამოკითხვაც თუ ჩატარდება, საიდანაც შევიტყობთ, რას ფიქრობენ მთავრობა და პოლიტიკოსები ხალხზე. ნაცების აზრი ცნობილია — ყველანი ციხეში. გასულ კვირაში კი, ყოველგვარი გამოკითხვის გარეშეც მივხვდით, თუ რას ფიქრობს ხალხზე პრეზიდენტი მარგველაშვილი — აი, ბიძინას გამოსვლის მეორე დღეს რომ დააანონსა, პრესკონფერენციას ვატარებ და თემა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები იქნებაო... წადი, რა, ერთი ვანო ნახე და მეორე ვანოს კოჭი გაუგორე!

„მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა, რომ პრეზიდენტი სასამართლოში მოწმეების და კითხვის წესის გადავადებასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტზე ვეტოს დადებას აპირებდა. „ბიძინასა და ჩემს შორის დიალოგს არ მოგიყვებით. ვეტო არის ამბავი გარდასულ დღეთა. არ დავადე იმ კანონს ვეტო. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვიტყვი, რომ ამ დიალოგებს არ მოვყვები. მინდა, რომ გამიგოთ და მიხვდეთ, რატომ ხდება ეს. მე ასეთი ურთიერთობების მომხრე ვარ, რომ რასაც ორი ადამიანი ილაპარაკებს, აღარ მოვყვე მედიასთან“, — განაცხადა მარგველაშვილმა“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

ჩვენში დარჩეს და, მკვლელობები, ბიზნესების დაყაჩაღება, პატიმრების გაუპატიურება და სხვა უამრავი ძაღლობა-მამაძაღლობა, რასაც ნაციონალები სჩადიოდნენ, ეს ყველაფერი გარდასულ დღეთა ამბავია და კიდევ მოვა აგვისტო, მივლენ ადამიანები და პატივს მიაგებენ გმირებს, მაგრამ არ მივა მარგველაშვილი, რადგან აგვისტოს ომი არის „გარდასულ დღეთა ამბავი“. ჩვენისთანა ბედნიერი... არადა, ეს ჩვენ გვეხება, ჩვენ კი არავინ გვისმენს. მაშ, ვის უსმენენ? ვინ არის ის ბედნიერი, ვისაც უსმენენ?

„ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ კამპანიას რუსთავიც შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში რუსთავის მერიის წინ ცენტრალურ მოედანზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და სამართლიანი არჩევნების რუსთავის ოფისის წარმომადგენლებმა კოსტავას გამზირზე ფეხით მსვლელობა და ცენტრალურ მოედანზე მშვიდობიანი აქცია გამართეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რუსთავის ოფისის წარმომადგენლებმა დღესვე ფარული მიყურადებისა და თვალთვალის წინააღმდეგ შემუშავებული, კანონპროექტის მხარდასაჭერად ქალაქში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს“, — ეს ერთი.

„ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ კამპანიის ფარგლებში, ბათუმში აქცია გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები 6 მაისის პარკში შეიკრიბნენ, ხელმოწერები შეაგროვეს და მსვლელობით ბათუმის უნივერსიტეტისკენ გადაინაცვლეს. არასამთავრობო ორგანიზაციები ხელმოწერებს, მიმართვასთან ერთად, ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატს, მურმან დუმბაძეს გაუგზავნიან“, — ეს ორი.

„დღეს, ქუთაისში, „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ კამპანიის ფარგლებში მშვიდობიანი აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ და მსვლელობა გამართეს. ორგანიზატორების განცხადებით, კამპანიის მიზანია ფარული მიყურადებისა და თვალთვალის აკრძალვა“, — ესეც სამი.

რუსთავის ფოტოები ვნახე, შვიდი თუ რვა ქათამი დგას და იღრიჭება. ქუთაისი და ბათუმი რუსთავზე დიდი ქალაქებია და იქ უფრო მეტნი იქნებოდნენ — 10-15 ქათამი. ამ სამი ნიუსიდან ყველაზე მეტად პირველმა აღმაშფოთა. ჩემი ნება რომ იყოს, ენჯეოშნიკებს საერთოდ ავუკრძალავდი მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, შოთა რუსთაველისა და სხვა დიდი პიროვნებების სახელობის ქუჩებზე სიარულს, მაგრამ ეს ერთი უკიდურესობაა, მეორე უკიდურესობა კი ის იქნება, თუ სწორედ ასეთ ქუჩებზე სიარულს ვაიძულებთ, იქნებ რამე ისწავლონ და რამე შეიგნონ.

„კამპანიის „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ მონაწილეები იწყებენ აქციას „1 საათი მოსმენების გარეშე“. კამპანიის მონაწილეების ინფორმაციით, აქცია ყოველ პარასკევს 13:00-დან 14:00 საათამდე მობილური ტელეფონების გამორთვას გულისხმობს. „ჩვენ გამოვრთავთ მობილურ ტელეფონებს 1 საათით და მოგიწოდებთ, ამ ფორმით ჩვენთან ერთად გააპროტესტოთ ფარული მიყურადება და შეუერთდეთ კანონის ცვლილების მოთხოვნას“, — აცხადებენ კამპანიაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლები“, — ესეც ოთხი, და დასკვნა: ამათ რას შეაგნებინებ!

ცოტა წავიუზრდელებ და მაწანწალა ენჯეოშნიკებსა და მათ რესპექტაბელურ მესვეურებს ვეტყვი: „ეს თქვენ გეხებათ, მაგრამ დადგება დღე, როცა ეს თქვენ მოგხვდებათ“.

თითქმის ბოლოში გავდივარ, გახსენებით კი მხოლოდ მარგველა და ენჯეოშნიკები გავიხსენე, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა. კარგი იქნებოდა, გოჩა ცქიტიშვილსა და ე.წ. ფიფლმეტრებზეც მეთქვა ერთი-ორი სიტყვა, მაგრამ ვამბობთ მარგველაშვილს და ვგულისხმობთ ენჯოეშნიკებს, ვამბობთ ნაცებს და ვგულისხმობთ გოჩა ცქიტიშვილს და, საერთოდაც, ვამბობთ ენჯეოშნიკებს და ვგულისხმობთ ნაცებს.

ჯერ სად ხართ?! აი, დაკომპლექტდება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო და მერე ნახეთ ლგბტპროპაგანდა, მერე ნახეთ სრულიად საქართველოს დაკომპლექსება ყველაზე საზიზღარი არასრულფასოვნების კომპლექსებით, მერე ნახეთ აღშფოთებული და შეშფოთებული საზოგადოების მაგარ-მაგარი გამონათქვამები ლგბტ ნაუწყებარის თაობაზე... მაგრამ ჩვენ არავინ გვისმენს და არც მოგვისმენს.

ერთიც და დავასრულებ:

„საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მთავარ პროკურატურაში დაბარების თაობაზე უწყება დედას, გიული ალასანიას ჩაბარდა. როგორც საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა, უწყება მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრს, დედას დღეს ჩაბარდა“.

ჩაბარდა სააკაშვილის დედას...სააკაშვილის დედას... დედა შინ რომ არ დახვედროდათ? ხომ იქნებოდა ვინმე კარგი და კეთილი? ჩაბარდებოდა მათ, სააკაშვილის კარგებსა და კეთილებს.

ისე, ბევრნიც არ არიან სააკაშვილის კარგები და კეთილები...

ჩვენთან, გრამაფონში.

ე.კ.ე.კ. (ეს კი, ეს კი) „ისე კი, მე არ შემხვედრია ნამდვილად კარგი ადამიანი...“ — ისევ წასჩურჩულა სილვიას კონჩეტინამ. — „არა? და დუილიო ვინღაა მაშინ...“ „ეგ კი, ეგ კი... მაგრამ ხნიერია. მე ახალგაზრდებზე ვამბობ“. „აჰ, ეგრე ამბობ? ჰო... ისე კი, ახალგაზრდები ასაკში რომ შევლენ, შეიძლება მერე ისინიც კარგები გახდნენ...“ „ეს კი, ეს კი...“ ისხდნენ, საუბრობდნენ.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

სააკაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ ანუ ყველანი ციხეში

გიორგი იაშვილი

თქვენ თუ იცით, როსენ პლევნელიევი ვინ არის? არც მე ვიცოდი, სანამ რამდენიმე დღის წინ საქართველოში სტუმრად მყოფ ერთ-ერთ ბულგარელ მეგობარს არ ვკითხე, ბულგარეთის პრეზიდენტი ვინ არის-მეთქი და მიპასუხა, ბატონი როსენ პლევნელიევიო. გამეცინა, რატომ ბატონი-თქო და გაოცდა, ის ხომ ჩემი ქვეყნის სახეა, არ ვაპირებ, სახალხოდ ვლანძღო იმის მიუხედავად, რომ, შესაძლოა, კარგს არაფერს აკეთებდესო. მერე ის გამახსენდა, როგორ მოიხსენიებდა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ქართველი მოსახლეობა და მივხვდი, ევროპელობამდე თუ პოლიტიკურ კულტურამდე ბევრი გვიკლია, თუმცა ვერ გეტყვით, რა ხასიათზე იქნებოდა ჩემი მეგობარი, ბულგარეთის პრეზიდენტი, სააკაშვილი რომ ყოფილიყო და მის მიმართ იმდენი აგრესია და სიძულვილი დაგროვილიყო, რამდენიც ჩვენთან. სხვათა შორის, ხალხი თავის დროზე შევარდნაძის გასამართლებასაც ითხოვდა, მაგრამ ეს თემა მერე მინელდა და ბოლოს, არავის გახსენებია. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი მუდმივად ისმის, რომ სააკაშვილი დასაჭერია და ეს სწორედ იმ აგრესიის ბრალია, რაც 9 წლის განმავლობაში გროვდებოდა და ამ აგრესიამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იფეთქა. ვისაც რა უნდა, ის დაარქვას, მაგრამ ასე მგონია, 2012 წლის არჩევნები ნაციონალური მოძრაობის განაჩენი იყო, განაჩენი, რომელიც ხალხმა გამოუტანა.

განაჩენის გამოტანიდან წელიწადნახევრის შემდეგ, სააკაშვილი პროკურატურაში დაიბარეს. თითქოს ამას ელოდა კიდეცო — საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნიდან რომ წავიდა, მიშას აქეთ პირი აღარ უქნია და ის ინფორმაციაც, აშშ-ში ლექციებს კითხულობსო, არ უნდა იყოს სიმართლესთან ძალიან ახლოს. შესაძლოა, 1-2 ლექცია წააკითხეს, მაგრამ ლექტორად და პროფესორად რომ არ აუყვანიათ, ფაქტია, თორემ სააკაშვილი ხან უკრაინაშია, ხან ბრიუსლეში, ხან სტრასბურგში და ხანაც ჰოლანდიაში ანუ რა გამოდის, შატალო მოაწყო?

რაც შეეხება ბრალს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით დასაკითხად 2014 წლის 27 მარტს, 13:00 საათზეაა დაბარებული. მთავარმა პროკურატურამ იმ საქმეების ჩამონათვალი გაავრცელა, რომელთან დაკავშირებითაც სააკაშვილი მოწმის სახით დაიკითხება.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ საქმე ეხება ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ 2006 წლის 28 იანვარს ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების: გ. ალანიას, ალ. ღაჭავას, მ. ბიბილურიძისა და ა. აფციაურის შეწყალების ფაქტს, რომელიც განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის №768 განკარგულებით. ასევე, გვსურს განვმარტოთ, რომ ვინაიდან მთელ რიგ საქმეებზე გამოძიება შესულია დასკვნით ფაზაში და პროკურატურა დგას სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობის წინაშე, იგეგმება ყოფილი პრეზიდენტის მოწმის სახით დაკითხვა აღნიშნულ საქმეებზეც. საზოგადოების სრულად ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქვეყნებს იმ საქმეების ჩამონათვალს, რომლებზეც დგას მ. სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობა:

2008 წლის თებერვალში, მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის, დარბევის, უკანონოდ დაუფლებისა და გარდაცვლილი არკადი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედებების ფაქტებზე, რაც დასრულდა 2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს ხელისუფლებასა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის მემორანდუმის გაფორმებით;

2009-2012 წლებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტზე;

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

2004 წლის ივნისში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და ტელეკომპანია „მზე“-ს კანონიერი მესაკუთრეებისათვის წილების იძულებით დათმობის ფაქტზე;

2009 წლის 20 მაისს, ე.წ. „მუხროვანის ამბოხებისთვის“ ძებნილი პირების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციისას, გ. კრიალაშვილის ლიკვიდაციის, ლ. ამირიძის და კ. ოთანაძის დაჭრის ფაქტზე;

2012 წლის 24 თებერვალს სახელმწიფოს კუთვნილი შპს „აგრომეტი“-ს (აგრარული უნივერსიტეტის) ქონების გაფლანგვის ფაქტზე.

2012 წლის 31 ოქტომბრის პრეზიდენტის განკარგულებით მისი ბიძის თ. ალასანიასთვის უპირატესობის მინიჭებით, სახელმწიფო ქონების შპს „ბეზეკზე“ უკანონოდ პრივატიზების ფაქტზე.

2012 წლის თებერვალში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ტელევიზია „ტვ-25“-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისათვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაცემის ფაქტზე.

2011-2012 წლებში, მაღალი თანამდებობის პირების ორგანიზებითა და მონაწილეობით „ქართუ“ ბანკის ხელოვნურად გაკოტრების მიზნით, ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების თვალთმაქცურად გასხვისების გზით გადამალვის ფაქტზე.

ჩვენ უნდა მოვისმინოთ მისი გამოუცხადებლობის მიზეზი, თუ გადაწყვეტს, არ გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში. ამის შემდეგ გამოძიება გააკეთებს შეფასებას მის ქმედებაზე, თუმცა ჩვენ ველოდებით, რომ სააკაშვილი გამოცხადდება და უპასუხებს გამოძიების შეკითხვებს“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

როგორც ხედავთ, ჩამონათვალი ძალიან შთამბეჭდავია, თუმცა მგონია, რომ ამ სიას ბევრი რამ აკლია და პროკურატურა კიდევ არაერთ და ორ საქმეზე მუშაობს, სადაც სააკაშვილი ფიგურირებს, თუმცა... აქცენტის გაკეთება მხოლოდ სააკაშვილზე არასწორი იქნებოდა. მის გვერდით იყო გუნდი, რომელიც ყველაფერს გეგმავდა, ასრულებდა და შემდეგ, კვალსაც შლიდა. ამ გუნდში თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილიც იყო და რამდენიც უნდა ამტკიცოს ახლა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, სააკაშვილის ნომერპირველი მტერი ვარო, ფაქტია, მის სახელსაც არაერთი ხმაურიანი საქმე უკავშირდება — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუტა რობაქიძის მკვლელობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი სწორედ ოქრუაშვილი გახლდათ. სხვათა შორის, ამას ბუტას მამაც მუდმივად ახსენებს და იმასაც ამბობს, როგორც დონაძე და ფირცხალავა უნდა დაისაჯონ, ისე უნდა დაისაჯოს ოქრუაშვილიცო. ოქრუაშვილი იყო იმ სპექტაკლების ავტორ-შემსრულებელი, რომლის დროსაც მოსახლეობამ ოჯახში შევარდნები და საცვლებისამარა დაყენებული ადამიანები იხილა, ოქრუაშვილი იყო ის კაცი, ჯარს დედას პირდაპირ ეთერში რომ აგინებდა და, თუ ბაჩო ახალაიას გინება ჯარისკაცების „დაჩმორებად“ აღიქმება, იგივენაირად უნდა აღიქმებოდეს ოქრუაშვილის ქმედებაც.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის მერყოფილი გიგი უგულავა ხან საჯარისო შენაერთების მოქმედებებს გეგმავდა და ხანაც სპეცოპერაციის დაგეგმარებაზე დარბოდა, პასუხისმგებლობა მანაც უნდა აიღოს. ვინ ეკითხებოდა ქალაქის მერს საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას? — ეს გამოძიებამ უნდა გვითხრას. საქმეში იყო გიგა ბოკერიაც და რამდენიც უნდა ინიკვინონ მისმა მხარდამჭერებმა და რამდენჯერაც უნდა დაემუქრონ ივანიშვილის ზებრებს, ფაქტია, ბოკერია ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის პირველი პირიც იყო და გადაწყვეტილებების მიღების დროს მთავარი სიტყვაც ეკუთვნოდა. აღარაფერს ვამბობთ ზურაბ ადეიშვილზე, რომელიც პროკურატურის მეშვეობით, მსოფლიო მასშტაბებით, უპრეცედენტო ბიზნესტერორს ახორციელებდა და პირად თუ საერთო სალაროს მილიონებით ავსებდა. კეზერაშვილის ამბავიც თითქოს ყველამ იცის, მაგრამ ეს „თითქოს“ საკმარისი არ აღმოჩნდა საფრანგეთში სასამართლოს მოსაგებად და აქედან წარგზავნილმა დონდოლაძემ საქმე წააგო. ვარაუდი, რომ კეზერაშვილს ახალ ბრალს წაუყენებენ, ისევ დააჭერინებენ და ექსტრადიციას მოახერხებენ, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელია.

ძმები ახალაიებიდან ერთ-ერთი ციხეშია, მეორეზე ძებნაა გამოცხადებული და რაც ყველაზე მთავარია, მას ადამიანების ქუჩაში დახვრეტას ედავებიან. ყველაფერი ეს წლების განმავლობაში ყველამ იცოდა, ყველა საუბრობდა, ოღონდ ჩურჩულით, რადგან ეშინოდა, ნულოვანი ტოლერანტობა მასაც არ შეხებოდა, ახლა კი შიშის სინდრომი გამქრალია და ხალხი სამართალს ითხოვს.

ყველას მიავიწყდა ამჟამად ერთ-ერთი არასამთავრობოს ხელმძღვანელი ეკა ტყეშელაშვილი. არადა, ეს ქალბატონი გენინსპექციის უფროსად მუშაობის დროს ციხე-ციხე დარბოდა და პატიმრებს აწიოკებდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა ათასობით პატიმრის გაშიშვლება ე.წ. შმონის ჩატარების სახელით და ქალბატონი ეკა ყველაფერ ამას თვალების ფახულით უყურებდა. არავის უხსენებია ხათუნა კალმახელიძე, რომლის დროსაც ციხიდან დღეში ერთი გვამი ისე გაჰქონდათ, როგორც — გეგმა და მიზეზს არავინ ხსნიდა. თავისით რომ არ იხოცებიან პატიმრები, ახლა გამოჩნდა და ვინმემ ხომ უნდა ჰკითხოს კალმახელიძეს, მაშინ რა სჭირდათ მსჯავრდებულებს?!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, მიხეილ სააკაშვილის მიერ წლების წინ ნათქვამი უკვდავი ფრაზა — „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ — მასვე მიუბრუნდა. რეალურად, თუ სამართლიანობის აღდგენა გვსურს, ყველა დაგროვილ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. სააკაშვილმა უკვე თქვა, რომ ჯერჯერობით, საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებს, თუმცა აუცილებლად ჩამოვა და ჩამოვა იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. ნაციონალური მოძრაობის წევრები კი ქართული მაიდნის მოწყობით იმუქრებიან და მიშას, როგორც გმირს, ისე ელიან. ამ ინფორმაციის გაჟღერების შემდეგ, გაჩნდა კომენტარები, რომელთა მიხედვითაც, „ქართულ მაიდანზე“ ნაციონალების მოწინააღმდეგეებიც ოცნებობენ. რატომ? — იმიტომ, რომ სწორედ ამ შემთხვევაში აპირებენ ისინი სამართლიანობის თავისებურ აღდგენას და ნაციონალების ლიდერებზე ნადირობის სეზონის გამოცხადებას. სწორედ ეს წერია სოციალურ ქსელებში და ყველაფერი ეს ძალიან სახიფათოა. ეგებ, დევიზი — „ყველანი ციხეში“ — ყოფილი ხელისუფლებისთვის საშველიც იყოს!

თიბისი ბანკი საქართველოში 2014 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა, Global Finance თიბისი ბანკი საქართველოში 2014 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა.

2014 წლის გამარჯვებული ბანკები ჟურნალის სარედაქციო ჯგუფმა მსოფლიოს წამყვან ფინანსურ ექსპერტებთან ერთად გამოავლინა. გარდა ამისა, გამარჯვებული ბანკების დასადგენად, წელს პირველად, დამატებით ჩატარდა გამოკითხვა ჟურნალ Global Finance-ის მკითხველებს შორისაც. საუკეთესო ბანკები შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: აქტივების ზრდა, სტრატეგიული პროექტები, კლიენტების მომსახურების ხარისხი, კონკურენტუნარიანი შემოთავაზებები და ინოვაციური პროდუქტები.

ჟურნალი Global Finance უკვე 21 წელია, საერთაშორისო ექსპერტებსა და კონსულტანტებთან ერთად იკვლევს წამყვან ბანკებს აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში, და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის საუკეთესოების დასადგენად.

„ბანკები, რომლებსაც ჩვენ ვაჯილდოებთ, ზოგჯერ ზომითა და გამოცდილებით არ არიან პირველები, მაგრამ ისინი გამოირჩევიან მიზნობრივი პროდუქტისა და შეთავაზებების სრულყოფილებით იმ ბაზრებზე, რომლებზეც ოპერირებენ. ეს ბანკები, მერყევი და არასტაბილური გარემოს მიუხედავად, საუკეთესოები არიან“, — ამბობს **ჯოზეფ ჯიარაპუტო**, Global Finance-ის გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

„მოხარულები ვართ, რომ უკვე მესამე წელია ვიღებთ ასეთ პრესტიჟულ ჯილდოს. ეს გვაძლევს მეტ სტიმულს, ვიყოთ პირველები როგორც საქართველოში, ისე რეგიონის მასშტაბით“, — განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ**.

„მე ვარ საქართველოდან... ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ არ გეთანხმებით!“

რატომ შეეკამათა ქართველი ჟურნალისტი ევროპარლამენტის პრეზიდენტს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ევროპარლამენტი ეთანხმება ევროსაბჭოს, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა პირველად, ძალიან დიდი ხნის შემდეგ. ძალიან უხეშად დაირღვა ერთი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა მეორე ევროპული ქვეყნის მიერ. ეს არ მომხდარა ცივი ომის დასრულების შემდეგ. ჩვენ უნდა გვქონდეს პასუხი და სტრატეგია, თუ როგორ ველაპარაკოთ რუსეთს“, — ეს განცხადება ევროპარლამენტის პრეზიდენტმა, მარტინ შულცმა ბრიუსელში, სამიტის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. დარბაზში მყოფმა ქართველმა ჟურნალისტმა, ქეთევან ქარდავამ მარტინ შულცს მიმართა: „რამდენიმე წუთის წინ განაცხადეთ, რომ არ დარღვეულა აქამდე ევროპული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. მე ვარ საქართველოდან, ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ არ გეთანხმებით. საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებულია, რუსი ჯარისკაცები დგანან დედაქალაქთან ახლოს, ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია... აქედან გამომდინარე, მინდა, გკითხოთ: ფიქრობთ, რომ რუსეთი უკრაინაზე გაჩერდება და არ იქნება უკრაინის მერე, მაგალითად, საქართველო და მოლდოვა?“

„მე ცივი ომის შემდგომი პერიოდი ვახსენე, ყირიმში კი სახეზეა ანექსია. სიგნალი მკაფიოა — რუსეთი მიუახლოვდა იმ ზღვარს, რომლის გადაკვეთის ნებასაც ევროკავშირი არ დართავს. უნდა გამკაცრდეს სანქციები, თუ გვინდა, თავიდან ავიცილოთ სამხედრო კონფლიქტი და არავინ შემხვედრია, ვისაც სურს სამხედრო კონფლიქტი. თუ რუსეთი გადაწყვეტს, გააკეთოს იგივე, რაც ყირიმში გააკეთა, ამას დრამატული ეკონომიკური კონფრონტაცია მოჰყვება ევროკავშირსა და რუსეთს შორის, რომელშიც რუსეთი დამარცხდება“, — უპასუხა ქართველ ჟურნალისტს შულცმა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ევროპარლამენტის პრეზიდენტის ამ გამოსვლის კომენტირებისას აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო უწყება აპირებს, შეახსენოს ყველას, რომ ყირიმი 21-ე საუკუნეში არ არის ანექსიის პირველი შემთხვევა:

„საგარეო უწყება აპირებს, შეახსენოს აბსოლუტურად ყველას, ვინც უნდა იყოს, რომ საქართველო არის ევროპა და 21-ე საუკუნეში ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი შეილახა და დაირღვა საერთაშორისო ნორმები. ეს მოხდა 2008 წელსაც. მას შემდეგ საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და მისი ორი ნაწილი რუსეთის მიერ გამოცხადებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ასე რომ, ეს ალბათ გამორჩა ევროპარლამენტის პრეზიდენტს“.

ფანჯიკიძის თქმითვე, ამას იმეორებს 2008 წლიდან ქართული მხარე, ასევე ევროკავშირი და ზუსტად ასეთივე განცხადებებს აკეთებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც.

ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ექსპერტი **კახა გოგოლაშვილი** განმარტავს, რომ რუსეთს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ანექსია ლეგალურად არ განუხორციელებია და ეს, იურიდიულ ენაზე, ოკუპაციაა:

„ანექსია სამხედრო ძალის გამოყენებით რაღაც ტერიტორიის მიტაცება-შეერთებაა. კარგად გვესმის, რომ დე ფაქტო ანექსიას მართლაც აქვს ადგილი, მაგრამ დე იურედ, ეს ოკუპაციაა (შემდგომში, მათი დამოუკიდებლობის აღიარებით), რადგან რუსეთმა აქ ჯარი განათავსა, ტერიტორიებზე საკუთარი კონტროლი დაამყარა და ეს უსამართლოდ და საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვით გააკეთა. ასე რომ, მარტინ შულცის განცხადება, ლეგალური თვალსაზრისით, შეცდომა არ ყოფილა, ანექსია მაშინ იქნება, როცა სოხუმსა და ცხინვალს რუსეთი მიიერთებს, რაც ყირიმში უკვე ჩაიდინა“.

კითხვაზე, რას უნდა ელოდეს საქართველო ყირიმში დატრიალებული მოვლენების ფონზე, კახა გოგოლაშვილი პასუხობს, რომ უკრაინა და ყირიმი გლობალური პრობლემაა:

„დღეს კრემლი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ანგარიშს არ უწევს სხვა სახელმწიფოებს, მათ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. რეალურად, თავის სამეზობლოში ქვეყნების მთლიანობის პატივისცემის პოლიტიკას აღარ ახორციელებს, ამიტომ სხვა სახელმწიფოების მიმართაც მოვლენების ნებისმიერი გზით განვითარება შეიძლება მივიღოთ. ასევე არ მგონია, რუსეთის ნებისმიერი მეზობელი, ვინც მის მეგობრად ითვლება, ძალიან მშვიდად იყოს ყირიმში დატრიალებული მოვლენების შემდეგ. მათ უნდა იცოდნენ, რომ მოსკოვი ნებისმიერ მომენტში დაარღვევს მათ ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ჩვენს მიწებთან დაკავშირებითაც მდგომარეობა ნამდვილად არ გაუმჯობესებულა — ჩრდილოელმა მეზობელმა ახლა ისეთი პრეცედენტი დაუშვა, რომ ყველაფერია მოსალოდნელი. თუ რუსეთს ბოლომდე შერჩა ეს უკანონობა, საერთაშორისო სამართლის გათელვა და საკმარისად არ დაისაჯა, ეს მისთვის ერთგვარი კარტ ბლანში იქნება, რომ თავის გარემოცვაში ანალოგიური პოლიტიკა გაგრძელოს“.

შეგახსენებთ: საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს, აგვისტოს ნაცვლად, არაუგვიანეს, ივნისში მოაწერს. ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ხოსე მანუელ ბაროზომ სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“, საკუთარ გვერდზე განაცხადა: **„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ასევე შევთანხმდით, ხელი მოვაწეროთ ასოცირების ხელშეკრულებებს საქართველოსა და მოლდოვასთან არაუგვიანეს 2014 წლის ივნისისა“.**

ლევან ჩაჩუასა და მიხეილ ძაძამიას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ ლევან ჩაჩუასა და ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრ მიხეილ ძაძამიას წინასწარ პატიმრობა შეუფარდა. ლევან ჩაჩუა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით 20 მარტს დააკავა. **„გამოძიებით დადგენილია, რომ 2005 წლის 3 თებერვალს ლევან ჩაჩუამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, გვამების გამოკვლევისას გამოიჩინა გულგრილობა და არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა.**

კერძოდ, სრულყოფილად არ აღწერა გვამებზე არსებული დაზიანებები მაშინ, როდესაც გვამებს აშკარად აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები. ვინაიდან წარმოებული გამოძიებით ეჭვქვეშ დადგა ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის ნამდვილობა, საქმეზე აუცილებელი გახდა ახალი ექსპერტიზის ჩატარება ზ. ჟვანიასა და რ. უსუპოვის გარდაცვალების რეალური მიზეზისა და გარემოებების დადგენის მიზნით.

ლევან ჩაჩუას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, — აცხადებს პროკურატურა.

ასევე სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებითაა დაკავებული ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია. პროკურატურის ინფორმაციით, ძაძამიას მიერ გამოჩენილ გულგრილობას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

„2005 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, ზ. ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მ. ძაძამიამ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღმოჩენილი იქნა გარდაცვლილი. იმავდროულად, მიხეილ ძაძამიამ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად, არ შეატყობინა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ. ზემოაღნიშნულით მ. ძაძამიამ ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება.

მიხეილ ძაძამიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ს 342-ე მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

მერაბიშვილმა სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა?

21 მარტს, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი პროკურატურაში დაკითხეს. როგორც პროკურატურა განმარტავს, მერაბიშვილმა საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები ვერ გაიხსენა, 2005 წლის 3 თებერვლის ბრიფინგზე კი, ჟვანიას სიკვდილის მიზეზად ბუნებრივი აირით მოწამვლა მხოლოდ იმიტომ დაასახელა, რომ შემთხვევის ადგილზე თავად იმყოფებოდა, სადაც ნამწვის სუნი იგრძნობოდა.

„ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ საზოგადოებას პირველად ვანო მერაბიშვილმა ამცნო და მომხდარი უბედურ შემთხვევად შეაფასა. გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირი ისე დაასახელა, ექსპერტიზის დასკვნა არათუ დაწერილი, გვამების გამოკვლევა დაწყებულიც კი არ ყოფილა. ექსპერტიზა 09.00 საათზე დაიწყო, ვანო მერაბიშვილმა კი ბრიფინგი 08:38 წუთზე გამართა“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში... ყოფილი პრემიერის დაკითხვას ადვოკატი გიორგი გელხაური ესწრებოდა, რომელმაც დაკითხვის დეტალების გამხელა არ ისურვა, ამიტომ „ვერსია“ ვანო მერაბიშვილის კიდევ ერთ ადვოკატს, **ოთარ კახიძეს** დაუკავშირდა:

— ვანო მერაბიშვილმა პროკურატურას ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდა და განაცხადა, რომ ამ საქმეში ჩართული იყო აშშ-ს ფედერალური გამოძიების ექსპერტები. მათ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დეტალები შეისწავლეს და კომპეტენტური დასკვნაც დადეს. ეს ინფორმაცია პროკურატურაში სხვა მასალებთან ერთად ინახება. გამოძიების დეტალები, ოუტუბე.ცომ-ზე ატვირთულ ფოტოებთან ერთად, წელიწადნახევარია პროკურატურას აქვს.

— ვანო მერაბიშვილის ჩვენების შემდეგ, დაკითხვაზე, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისა და სხვა სკანდალურ საქმეებზე, მიხეილ სააკაშვილს იბარებენ. რამდენიმე თვის წინ ყოფილი პრემიერი ამბობდა, რომ მაშინდელი მთავარი პროკურორი ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდა. შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა?

— ვანო მერაბიშვილს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუცია. ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ.

რუსუდან შელია

რუსული გეგმა, რის გამოც შს ექსმინისტრი თემურ ხაჩიშვილი მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა

გიორგი გიორგაძე

მაშ ასე, მიხეილ სააკაშვილი განსაცდელშია — მთავარმა პროკურატურამ საქართველოს პრეზიდენტყოფილი ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანისა და სხვა გახმაურებულ საქმეებზე მოწმის სტატუსით, დაკითხვაზე დაიბარა. წესითა და კანონით, მიშა ბადაშვილის უწყებაში 27 მარტს, ნაშუადღევს უნდა გამოცხადდეს, თუმცა... ნურას უკაცრავად — აშშ-ში გადახვეწილი პრეზიდენტყოფილი „ოცნებას“ თითს აქეთ უქნევს და აცხადებს, რუსულ თამაშებში მონაწილეობას არ მივიღებო ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილი დაკითხვაზე გამოცხადებას არ აპირებს და იმ შემთხვევაში, თუ, როგორც მოწმემ, ჩვენების მიცემაზე Skype-თაც უარი თქვა და არც აშშ-ში ჩასულ ქართველ გამომძიებლებს შეხვდა, ქვეყნის ექსპირველ პირზე ძებნა გამოცხადდება. როგორც „ვერსიას“ კონფიდენციალური წყარო პრივატულ საუბარში უხსნის, ამ ეტაპზე სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება ყველაზე კარგი გამოსავალია.

„პრაქტიკულად, მე დავიწყე კამპანია უკრაინის მხარდასაჭერად. ძალიან დიდი პრობლემა შექმნეს, მაგრამ თუ ახლა პუტინი მიიჩნევს, რომ წყნარად წავალ და ჩავბარდები და ჩემი გადაადგილება აღარ მოხერხდება, ეს არის ძალიან დიდი სისულელე. ვაპირებ, გავაგრძელო ბრძოლა საქართველოს და მთელი რეგიონის გათავისუფლებისთვის, როგორც თავისუფალმა ადამიანმა. ვერავინ შეზღუდავს ჩემს გადაადგილებას... მე საქართველოში ჩამოვალ არა პუტინის ოცნების ასახდენად, არამედ, საქართველოში ჩამოვალ პუტინის დავალებების შემსრულებლებისგან საქართველოს გასათავისუფლებლად. ეს დრო დადგება ბევრად მალე, ვიდრე ივანიშვილს წარმოუდგენია. რუს ოლიგარქს, რომელსაც მისცეს ორი მილიარდი ამ დავალების შესასრულებლად, თავის დროზე 2012 წელს... თავის დროზე ევროპელები მეუბნებოდნენ, რომ ის გადადგა თანამდებობიდან მხოლოდ იმის გამო, რომ ჩრდილოვნად გააკეთოს ეს საქმე, ვითომ თვითონ არაფერ შუაშია. მინდა ვთქვა, რომ ამას არავინ ჭამს. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს მთავრობას მართავენ სრული არარაობები, რომლებიც საერთოდ არც ერთ გადაწყვეტილებას არ იღებენ. ყველამ კარგად იცის, რომ საბოლოო ჯამში, ივანიშვილიც არ იღებს გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებას იღებს ის, ვინც მას მისცა ეს ორი მილიარდი. ეს არის დროებითი სიძნელეები საქართველოსთვის. მე გავაგრძელებ ბრძოლას, ვერაფერი შემაჩერებს, გარდა ფიზიკური ლიკვიდაციისა პუტინის მხრიდან. მე გავაგრძელებ ჩემს ბრძოლას, ბრძოლას იმისთვის, რომ ეს ყველაფერი, რასაც მრავალი წელი მოვანდომეთ, ვერავინ შეაბრუნოს უკან. მე ვაპირებ ბრძოლის გაგრძელებას, როგორც თავისუფალი ადამიანი. არ ვაპირებ ივანიშვილი-პუტინის თამაშების თამაშს. მე ჩავაკითხავ ივანიშვილს, როცა საჭირო იქნება, ოღონდ ჩავაკითხავ სხვა მისიით“, — აცხადებს სააკაშვილი.

რატომ აკეთებს მიშა აქცენტს პუტინზე და, საერთოდ, რა კავშირშია ექსპრეზიდენტის დაკითხვაზე დაბარება მის უკრაინულ აქტიურობასთან? — ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა, თუმცა „ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს განმარტებით, პრემიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გააქტიურება და ამ ფონზე სააკაშვილის მთავარ პროკურატურაში დაბარება სწორედ პუტინის გეგმის ფიასკოა.

რა გეგმა აქვს პუტინს?

ეჭვი თითქმის არავის ეპარება, რომ ყირიმის მოვლენების შემდეგ, კრემლი იერიშს საქართველოზე მოიტანს, საბაბი კი, შესაძლოა, ქვეყანაში ანტირუსული კამპანიის გააქტიურება გახდეს. როგორც კულუარებში ამბობენ, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტია პუტინისადმი კეთილგანწყობილი. შესაბამისად, თუკი მიშა და მისი პოლიტიკური და-ძმები ხალხს დაარწმუნებენ, რომ „ოცნება“ რუსული პროექტია, სავსებით შესაძლებელია, მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდეს. ქუჩის პოლიტიკაში კი სააკაშვილი თავს ისე იგრძნობს, როგორც თევზი — წყალში ანუ მას საბაბი მიეცემა, საქართველოში დაბრუნდეს. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში, ძებნაგამოცხადებული მიშა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს გადმოლახავს თუ არა, დაიჭერენ, რაც ნაციონალებისთვის კიდევ ერთი ჯოკერი იქნება — მიშას პოლიტიკურ პატიმრად შერაცხავენ, რასაც მსოფლიოს შეშფოთება-აღშფოთება მოჰყვება.

„ვერსიის“ ინფორმატორებს თუ დავუჯერებთ, დასავლეთში, უფრო სწორედ აშშ-ში, დიდი ხანია არსებობს ეჭვი, რომ ნაცმოძრაობის ელიტა რუსულ დაკვეთას ასრულებს. მიუხედავად ამისა, თეთრი სახლი ღიად ვერ იტყვის, რომ ჯორჯ ბუშმა თავის დროზე დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როცა „სტავკა“ სააკაშვილზე გააკეთა, თუმცა ამ თემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საიდუმლო წერილი, რომელიც 2009 წელს საქართველოში აშშ-ს საელჩოს თანამშრომლის სახელზეა გამოგზავნილი და, რომელიც თავის დროზე „ვიკილიქსმა“ გაახმაურა. წერილში ერთმნიშვნელოვნადაა აღნიშნული, რომ ოფშორული კომპანია „ბელტრეიდიგი“, რომლის შუამავლობითაც ქართული მხარე ერთ-ერთი უკრაინული კომპანიისგან იარაღს ყიდულობდა, საეჭვო რეპუტაციისაა და ფინანსურ თუ სხვა კრიმინალურ მაქინაციებშია შემჩნეული. სხვათა შორის, კულუარებში ამბობენ, რომ თემურ ალასანიამ საჯარო გამოჩენა სწორედ ამ წერილის გამო გადაწყვიტა ანუ ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლებას ამერიკელი მეგობრებისგან „მწვანე შუქი“ აქვს ანთებული, რომ სააკაშვილის და, საერთოდ, ნაცმოძრაობის ბნელ საქმეებს ნათელი მოჰფინოს.

„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ქართველი სამართალდამცავები იარაღით უკანონოდ ვაჭრობას იძიებენ. ამ საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ცხადია, სააკაშვილი იქნება, მაგრამ, როგორც წყარო ამბობს, იარაღის თემაზე სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება ამ ბიზნესში ჩართული სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ერთგვარი სიგნალი იქნებოდა. შესაბამისად, მთავარმა პროკურატურამ სხვა ტაქტიკა აირჩია.

ერთი სიტყვით, გამორიცხული არ არის, 27 მარტს მიხეილ სააკაშვილს სამართლებრივი სტატუსი შეეცვალოს და მოწმიდან ეჭვმიტანილად მოგვევლინოს. „ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს განმარტებით, სააკაშვილის ეჭვმიტანილობა კრემლისთვის სერიოზული დარტყმა იქნება, რადგან მოსალოდნელი ქუჩის აქციები ქარიზმატული ლიდერის გარეშე დარჩება.

ისე, შეიძლება ვინმემ თქვას, მიშა მთელი ცხოვრება კრემლს ებრძვის და მისი პუტინთან გაიგივება რა სისულელეაო. ერთი შეხედვით, მართლაც, სისულელეა, მაგრამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პრეზიდენტყოფილს უკრაინაში ე.წ. თარჯიმანთა სასწავლებელი აქვს დამთავრებული (ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან გელა ბეჟუაშვილი და უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკოც). გავრცელებული ცნობით, „თარჯიმანთა სასწავლებელი“ საბჭოეთი დროს კგბ-ს კადრების სამჭედლო იყო. ასევე, საგულისხმოა, რომ ნაციონალების მმართველობისას, ესე იგი, ცხრა წლის განმავლობაში, „თელასსა“ და თბილისის წყლის მფლობელებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოში 400-მდე ქართულ-რუსული კომპანია დაფუძნდა, აქედან, 80-ზე მეტი წმინდა რუსულია...

მაშასადამე გონივრული ეჭვისთვის საფუძველი, რომ ყოფილი მმართველი გუნდის ელიტას კრემლთან გარკვეული კავშირი ჰქონდა, საკმარისზე მეტია. ისე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2003 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, თბილისში იგორ ივანოვი ჩამოვიდა, რომელიც პარლამენტის წინ შეკრებილ პროტესტანტებს ზურაბ ჟვანიასთან ერთად შეხვდა. პარალელურად, მოსკოვში გაემგზავრა კოტე კემულარია, რომელმაც მოგვიანებით, „ვარდოსანთა“ ხელისუფლებაში მაღალი პოსტი მიიღო — ჯერ რუსეთში საქართველოს ელჩი გახდა, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრი.

შეიძლება, უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ კოტე კემულარია კარგა ხანია, პოლიტიკას ჩამოცილებულია, ზურაბ ჟვანია კი, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რატომ გააკეთა თავის განცხადებაში სააკაშვილმა აქცენტი „რუსულ ოცნებაზე“.

17 მაისი — კრემლის სათადარიგო სცენარი

იმას რომ კრემლი საქართველოში სათადარიგო სცენარსაც ამზადებს, კიდევ ერთი გარემოება მოწმობს: „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, რუსეთიდან საქართველოში შს ყოფილი მინისტრი, თემურ ხაჩიშვილი დაბრუნდა და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეხვდა. შეხვედრის დეტალები უცნობია, თუმცა ხაზგასასმელია, რომ ხაჩიშვილის თბილისური ვიზიტის შესახებ ოფიციალური ცნობა არ გავრცელებულა. პრინციპში, ვინაა ხაჩიშვილი, რომ მედია მისი პიროვნებით დაინტერესდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ პრორუსული პარტია „დათვები“ შექმნა და ყოველთვის კრემლთან ასოცირდებოდა, ხაჩიშვილის საიდუმლო ვიზიტი ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

პარალელურად, კულუარებში ვრცელდება ცნობა, რომ პოლიტიკური დაჯგუფებები, ამ შემთხვევაში საუბარია ნაციონალურ მოძრაობაზე, 17 მაისისთვის ემზადებიან. წყაროები ამბობენ, რომ ესეც რუსული გეგმის ნაწილია. უფრო კონკრეტულად, 17 მაისს, შარშანდლის მსგავსად, დიდი გაწევ-გამოწევა მოხდება, თუმცა ამჯერად საქმე შეიძლება იარაღამდეც მივიდეს ანუ ძალოვან უწყებაში ჩანერგილი ნაციონალები ან სხვა პროვოკატორები ლგბტ-ებსა და მრევლს შორის დაპირისპირების ინსპირირებას მოახდენენ, რის შემდეგაც მოვლენები პარლამენტში გადაინაცვლებს — საერთო მღელვარების ფონზე, კოალიციაში შემავალი პერსონები, რომლებსაც ღია თუ ფარული რუსული ბეგრაუნდი აქვთ, „ოცნების“ უმრავლესობას იმ საბაბით დატოვებენ, რომ ახალმა ხელისუფლებამ წინას მიბაძა და საკუთარი ხალხი დაარბია. ყოველივე ამის ფონზე, არსებობს მოლოდინი, ნაციონალებმა უმრავლესობა შექმნან და პირველი, რასაც გააკეთებენ, მთავრობის დათხოვნა იქნება. „ვერსიის“ წყაროს ვერსიით, ყველაფერ ამის მთავარი მიზანი ირაკლი ღარიბაშვილის გადაყენებაა...

ამავე საიდუმლო გეგმით, როგორც კულუარებში ამბობენ, გათვალისწინებულია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომელზეც ნაციონალები შეეცდებიან, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოვიდნენ ან იმ ძალებს გაამარჯვებინონ, რომლებიც კრემლისგან იქნებიან დაფინანსებულნი.

„როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ამ გეგმის შესახებ შეიტყო და პროკურატურაში სააკაშვილის დაბარებაც ერთგვარი პრევენციაა“, — ამბობს „ვერსიის“ წყარო.

ყველაფერი ზემოთქმული, შესაძლოა, აბსოლუტური სიმართლე არაა, მაგრამ ფაქტია: ნაციონალები Facebook-ში „თბილისური მაიდნის“ მოწყობით იმუქრებიან. **„აბა, ჩემო მთავრობავ, შენი იანუკოვიჩობა აჯობებს თუ საქართველოს ძალისხმევა... მოემზადეთ ქართული მაიდნისთვის, იქ მიშა სააკაშვილი გელოდებათ!“** — ეს სიტყვები ნაციონალმა ეკა ხერხეულიძემ საკუთარ გვერდზე „დაპოსტა“...

ირაკლი ალასანია ესპანეთში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესპანეთის სამეფოში გაემგზავრა. ეს საქართველოსა და ესპანეთის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელებს შორის პირველი ოფიციალური შეხვედრა იქნება. ირაკლი ალასანია ესპანელ კოლეგას პედრო მორენეს ეულატეს საქართველოს თავდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს გააცნობს. მხარეები თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებსაც განიხილავენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ესპანეთის ჯავშანსაწინააღმდეგო ბრიგადისა და საავიაციო ბაზებს ესტუმრება. ასევე, დაგეგმილია ირაკლი ალასანიას შეხვედრა ესპანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივან გონსალო დე ბენიტოსთან.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი სამეფო ინსტიტუტში Elcano სიტყვით გამოვა და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პერსპექტივებზე ისაუბრებს. სამეფო ინსტიტუტში მინისტრის გამოსვლას ორგანიზაცია Ceseden-ის სამხედრო ექსპერტები, დიპლომატიური კორპუსის, ასევე სხვა კვლევითი ცენტრებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები დაესწრებიან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის პირველი ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში 26 მარტს დასრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

ეროვნულ გამოცდებში 36 ათასზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის პროცესი უკვე დასრულდა.

2014 წელს გამოცდებისთვის 36 ათასზე მეტი აბიტურიენტი, 19 ათასამდე პედაგოგი და მასწავლებლობის მსურველი, მაგისტრანტობის 12 ათასამდე კანდიდატი და 4500-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა.

ამის შესახებ ერთიანი ეროვნული გამოცდების ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი:

„საბოლოო მონაცემების გაზიარებამდე მინდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საქმიანობის გაცილებით მნიშვნელოვან მიმართულებას შევეხო — საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებსა და სახელმწიფო შეფასებას, რომელთა შედეგები განათლების სისტემის ზუსტ და სრულ დიაგნოზს გვაძლევს, ცხადად გვიჩვენებს, რა მიმართულებით გვაქვს ყველაზე მეტი პრობლემა, რა უნდა გამოვასწოროთ და, რაც მთავარია, როგორ... კვლევებს 2006 წლიდან ვატარებდით. სამწუხაროა, რომ შედეგები, რომელიც ძალიან ღირებული ინფორმაციაა განათლების პოლიტიკის განსასაზღვრად, არავის გამოუყენებია, არადა მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სწორედ ასე შეძლო ყველაზე პროგრესული განათლების სისტემის შექმნა. 2013 წელს საშუალება მოგვეცა, ისევ ჩავრთულიყავით საგანმანათლებლო კვლევებში, რომელშიც მსოფლიოს ათეულობით ქვეყანა მონაწილეობს. წელს ორ უმნიშვნელოვანეს კვლევას ვატარებთ, აქედან ერთი საერთაშორისოა, ერთი ნაციონალური. პარალელურად ვიწყებთ კიდევ ორი საერთაშორისო კვლევის პილოტირებას. კვლევების დასრულების შემდეგ საქართველოში საგანმანათლებლო სფეროს ხარვეზებისა თუ პროგრესის ამსახველი კიდევ ერთი, მრავალმხრივი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაციები გვექნება... თუმცა, მთავარი კვლავ შედეგების სწორად გააზრება და სისტემის გასაუმჯობესებლად გამოყენებაა“.

„მედიანიუსი“

2015 წლიდან ავიაბილეთები გაძვირდება?

რა კავშირშია „ფლაი ჯორჯიას“ ირანული სკანდალი რეგულაციების გამკაცრებასთან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2015 წლიდან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მკაცრი ფინანსური რეგულაციების ამოქმედებას გეგმავს, რომელიც ავიაკომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას გულისხმობს. „ვერსიასთან“ საუბრისას, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელი გურამ ჯალაღონია აცხადებს, რომ ევროპული რეგულაცია საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის „ერთიანი ცის შეთანხმებაზე“ 2010 წელს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად ინერგება. ახალი რეგულაციის მიხედვით, საქართველოს ავიაბაზარზე კომპანია, რომელსაც საეჭვო რეპუტაცია და ფინანსური პრობლემები აქვს ან უსაფრთხოების ნორმებს არ აკმაყოფილებს, ვერ შემოვა.

საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი კომპანიები ექსპლუატანტის სერტიფიკატს იღებენ, რაც ნიშნავს, რომ ავიაკომპანია ტექნიკურად უსაფრთხოა და კომპანიას მხოლოდ ამ სერტიფიკატის შემდეგ ეძლევა უფლება, სხვადასხვა მიმართულებით ფრენა განახორციელოს. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელმა, **გურამ ჯალაღონიამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ახალი რეგულაციების ამოქმედების შემთხვევაში, ავიაკომპანიებს, ექსპლუატანტის სერტიფიკატის აღების შემდეგ, ტვირთისა და მგზავრის გადაყვანის უფლება იმ დრომდე არ მიეცემა, ვიდრე ოპერირების ლიცენზიას არ წარადგენენ. ჯალაღონიას თქმითვე, ოპერირების ლიცენზია არა მხოლოდ ავიაკომპანიის ფინანსურ უსაფრთხოებას, არამედ, იმის გარანტიასაც გულისხმობს, რომ კომპანიას შესაძლებლობა აქვს, მგზავრებისა და პარტნიორების წინაშე აღებული ვალდებულებები შეასრულოს:

„ახალი რეგულაცია მხოლოდ ფინანსურ კი არა, ავიაკომპანიის რეპუტაციის საკითხებსაც ეხება. ავიაკომპანიის ფინანსური მდგრადობა, რა თქმა უნდა, ფრენების უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული, რადგან, თუ ავიაკომპანია ფინანსურად მდგრადი არაა, უსაფრთხოების პრობლემასაც ვერ მოაგვარებს. შესაბამისად, ახალი რეგულაციის დანერგვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეს არის. გარდა ამისა, ექსპლუატანტი, რომელიც საქართველოში ოპერირებას დაიწყებს და სხვადასხვა მიმართულებით ფრენებს განახორციელებს, აუცილებლად კარგი რეპუტაციის მქონე ავიაკომპანია უნდა იყოს ანუ ცუდ საქმეებში შემჩნეული არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, დირექტივა ეხება, როგორც ავიაკომპანიის ფინანსურ, ასევე რეპუტაციის საკითხებსაც“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, გურამ ჯალაღონიამ ისიც აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ახალი რეგულაცია შემოაქვს, შარშან ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიასთან“ დაკავშირებული სკანდალია, რომლის შესახებაც „ვერსიაც“ წერდა: 2013 წლის 17 ოქტომბერს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ავიაკომპანიას საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატი ჩამოართვა. მოქმედი კანონმდებლობით, ავიაგადამზიდავი ფრენის ნებართვას, ავტომატურად, იმ შემთხვევაში კარგავს, თუ ოპერირებისთვის 2 თვითმფრინავზე ნაკლები ჰყავს. 17 ოქტომბერსვე, „ფლაი ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიამ ფრენები დროებით შეწყვეტა, ამ გადაწყვეტილების მიზეზად კი ავიაკომპანიაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები და საორგანიზაციო სამუშაოები დასახელდა.

ქართულ-ირანული კომპანია „ფლაი ჯორჯია“ მორიგ სკანდალში მაშინ გაეხვია, როცა 2013 წლის ზაფხულში, გავლენიანმა გამოცემა „უოლ სთრით ჯორნალმა“ დოკუმენტური მასალა გამოაქვეყნა და „ფლაი ჯორჯიას“ მფლობელი ირანელი ბიზნესმენები ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობასთან კავშირში ამხილა. მასალის თანახმად, ისლამური რევოლუციის დამცველების კორპუსმა საქართველოში 150 კომპანიისგან შემდგარი ქსელი შექმნა, რასაც აშშ-ს სანქციებისგან თავის არიდების მიზნით იყენებდა. ამ სტატიის საპასუხოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ირანის მიმართ გაერო-ს სანქციების შესრულებას საქართველოს მთავრობაც მკაცრად აკონტროლებდა და, შესაბამისად, ირანის 150-მდე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს საბანკო ანგარიშებიც გაუყინეს.

„ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ სკანდალი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია, რომ ახალი რეგულაცია დავნერგოთ. ამ რეგულაციით, წინასწარ გვეცოდინება, ვინ შემოდის საქართველოს ავიაბაზარზე ან რა რეპუტაციის მქონეა ესა თუ ის ავიაკომპანია. შესაძლოა, ჩვენმა არაკეთილმოსურნე ქვეყანამ ძალიან დიდი ფული დახარჯოს, რომ ავიაკომპანია შექმნას, რომელიც საქართველოს ბაზარზე შემოსვლის შემდეგ, ჩვენს დროშას ცუდი მიზნებისთვის გამოიყენებს, მაგრამ ამ რეგულაციის მიღების შემდეგ, ასეთი რისკი გამოირიცხება. გარდა ამისა, საქართველოს ავიაბაზარზე ბევრი კომპანია ოპერირებდა, რომელიც სწორედ ფინანსური პრობლემების გამო გაკოტრდა, დაიხურა, ვერ ააწყო ბიზნესი და ასე შემდეგ. ახალი რეგულაცია ამ ტიპის შემთხვევებსაც გამორიცხავს, რადგან ფინანსურად არაუზრუნველყოფილი კომპანია ლიცენზიას ვერ მიიღებს“, — აცხადებს გურამ ჯალაღონია „ვერსიასთან“ საუბრისას და დასძენს, რომ დღემდე მოქმედი ლიცენზიით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, მხოლოდ და მხოლოდ, ფრენებისა და მგზავრების უსაფრთხოებაზე აგებდა პასუხს — საქართველოში მოქმედი ავიაკომპანიების თვითმფრინავები ტექნიკურად გამართული უნდა ყოფილიყო, პერსონალს კი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატები უნდა ჰქონოდა. 2015 წლიდან კი, ახალი რეგულაციის დანერგვით, ნებისმიერ ავიაკომპანიას ოპერატორის სერტიფიკატი და ლიცენზია ექნება. ამავე რეგულაციით, ტექნიკური და მგზავრების უსაფრთხოების გარდა, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო პასუხისმგებელი იქნება ფინანსურ მონიტორინგსა და ავიაკომპანიის წარსულზეც. გურამ ჯალაღონიას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ავიაკომპანიაში დარღვევა აღმოჩნდება ან ფინანსური მონიტორინგის ჩატარების შემდეგ, ფინანსური რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, გარკვეული ვადით კომპანიას ოპერირების ლიცენზია შეუჩერდება ან, შესაძლოა, საერთოდ ჩამოერთვას, თუმცა ლიცენზიის შეჩერება და ჩამორთმევა მარტივი პროცედურა არ არის — სამოქალაქო ავიაციამ ჯერ კარგად უნდა შეისწავლოს, რატომ დაარღვია ფინანსური პირობები ავიაკომპანიამ და ისიც დაადგინოს, ეს დარღვევა ობიექტური მიზეზებს უკავშირდება თუ ყველაფერი მიზანმიმართულად გაკეთდა:

„ახალი რეგულაციის სამუშაო ვერსიები სხვადასხვა ავიაკომპანიაში უკვე გავგზავნეთ, მაგრამ ოფიციალური პასუხი, თავისი შენიშვნებითა და წინადადებით, მხოლოდ „აირზენასგან“ მივიღეთ, სხვა ავიაკომპანიები არ გამოგვხმაურებია. ცოტა ხანს კიდევ დავიცდით, მერე შევკრებთ საქართველოს ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანიების წარმომადგენლებს, რომლებსაც დეტალურად გავაცნობთ ახალ წესს და მათგან კონკრეტულ წინადადებებს ან შენიშვნებს მოვითხოვთ. ავიაკომპანიების წარმომადგენლებს კარგად ავუხსნით, თუ რას გამოიწვევს ამ რეგულაციის დანერგვა ქვეყნისა და თუნდაც მათთვის. ხშირად ამ ახალ წესს „მტკივნეულ“ რეგულაციასაც უწოდებენ, რადგან ამ წესის თანახმად, ავიაკომპანიას ისეთი ფინანსური მდგომარეობა უნდა ჰქონდეს, რომ დაკისრებული მოვალეობების შესრულება თუნდაც სამი თვის განმავლობაში შეძლოს. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, ლიცენზიის მიღების მომენტში, ავიაკომპანია რთულ ფინანსურ სიტუაციაშიც რომ იყოს, ისეთი ბიზნესგეგმა უნდა ჰქონდეს, სამი თვის განმავლობაში პერსონალის ხელფასის გასტუმრებაც შეძლოს და აღებული ფინანსური ვალდებულებებიც შეასრულოს“.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მკაცრი ფინანსური რეგულაციები ამოქმედდება და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლება ექნება, ავიაკომპანიების ფინანსური მონიტორინგი განახორციელოს, გამორიცხული არაა, კომპანიებმა ავიაბილეთები გააძვირონ. თუ ფინანსური მონიტორინგის მომსახურება ფასიანი იქნება და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ავიაკომპანიებს დამატებით მოსაკრებელს დაუწესებს, ეს, ცხადია, ავიაბილეთის ფასზეც აისახება, თუმცა გურამ ჯალაღონია „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ასეთი დეტალები ჯერ დაზუსტებული არ არის:

„ფინანსისტი არ ვარ და ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ კომპანია, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფილია და ახალი რეგულაციის მიხედვით, შესაბამის ლიცენზიას მიიღებს, ბილეთს რატომ გააძვირებს? როცა ახალ რეგულაციაზე ვსაუბრობთ, მთავარი ფრენის უსაფრთხოებაა და ბილეთის გაძვირება-არგაძვირების საკითხი მხოლოდ ამის შემდეგ დგება. სხვათა შორის, ლიცენზიის მოსაკრებელი დიდი არ არის...“

„ინფორმაციის არამართლზომიერი მოპოვების აღმოფხვრის მიზნით შსს-მ უკვე გაატარა ღონისძიებები“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

რამდენად კანონიერად გროვდება და მუშავდება მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები სხვადასხვა უწყებაში

რამდენად კანონიერად გროვდება, ინახება და მუშავდება მოქალაქეთა პირადი მონაცემები სხვადასხვა უწყებაში? ერევა თუ არა სახელმწიფო უხეშად ჩვენ პირად ცხოვრებაში და მთავარი — გვისმენენ თუ არა ისევ? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, „ვერსია“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, თამარ ქალდანს დაუკავშირდა. სხვათა შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა“ ახლახან წარმოადგინა ანგარიში საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ანგარიში 7-თვიან პერიოდს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში, აპარატმა 376 კონსულტაცია გასცა მონაცემთა დამუშავების კანონიერების საკითხზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 58 თანამშრომელს კი შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდა.

— ანგარიში ასახავს 7 თვის პერიოდს, 2013 წლის აგვისტოდან, 2014 წლის თებერვლის ჩათვლით. ზოგადად, კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, საქართველოში სიახლეა. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის ბოლოს მიიღეს, ძალაში ეტაპობრივად შედის და მისი უდიდესი ნაწილი 2013 წლის დასაწყისიდან ამოქმედდა. შესაბამისად, რადგან წლების განმავლობაში არ არსებობდა ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირება, საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა. ჩვენი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიზანი კი ისაა, წარმოვაჩინოთ ეს სისტემური ხასიათის პრობლემები და მათ გადასაჭრელად საჭირო ნაბიჯები გადავდგათ.

— წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემებიდან, ყველაზე მწვავე რომელია?

— საკმაოდ ხშირად გვხვდება, მონაცემთა კანონიერი მიზნისა და საფუძვლის გარეშე დამუშავების შემთხვევები, არაადეკვატურად დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება, ხშირად მონაცემთა შეგროვება-შენახვის ვადაც არაა განსაზღვრული ან არ ემთხვევა კანონიერ ვადას. წლების განმავლობაში დამკვიდრებული იყო პრინციპი — ვაგროვებთ და ვინახავთ ყველაფერს, რისი მოგროვება და შენახვაც შეგვიძლია. ამ პრინციპის დღემდე არსებობას ხელს უწყობს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მონაცემთა დამუშავების ფართომასშტაბიანი ხასიათი. ცხადია, ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა პოზიტივია, მაგრამ მასთან ერთად თუ არაა უზრუნველყოფილი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები, საფრთხის ქვეშ დგას ადამიანების პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავების საკითხი.

— პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები თუ ირღვევა მაშინ, როცა მაგალითად, ერთი უწყება ან ორგანიზაცია ინფორმაციას მეორეს გადასცემს?

— სხვათა შორის, უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის მონაცემთა გაცვლის საკითხი კიდევ ერთი პრობლემაა. ის, რომ ორგანიზაციას აქვს კანონიერი უფლება, მოიპოვოს და შეინახოს ინფორმაცია, მას ავტომატურად არ ანიჭებს ამ ინფორმაციის სხვისთვის მიწოდების ან გასაჯაროების უფლებას.

— ორგანიზაციებს შორის გაცვლილი მონაცემები იყო თუ არა რიგითი მოქალაქეების სატკივარი, რომლებმაც ბოლო პერიოდში მოგმართეს?

— ჩვენი ორგანიზაცია ცოტა ხანია არსებობს, მაგრამ მოქალაქეთა განცხადებებზე აქტიურად ვრეაგირებთ. მხოლოდ საანგარიშო პერიოდში, 8 განცხადება განვიხილეთ და მოქალაქეებს არაერთი კონსულტაცია ჩავუტარეთ. ისინი სხვადასხვა პრობლემით მოგვმართავენ, მაგრამ უმეტესად, პრობლემაა მონაცემთა უკანონო გასაჯაროება, რაც, მატერიალურის გარდა, მორალურ ზიანსაც აყენებს ადამიანებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამუშავება მოხდეს კონკრეტული პიროვნების თანხმობით, ოღონდ ისე არა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე — ადამიანებს ეუბნებიან, თუ ამ ინფორმაციას მოგვაწვდით, გაგიწევთ გარკვეულ მომსახურებას. აუცილებელია, ადამიანი იყოს ინფორმირებული, იცოდეს, რატომ უნდა გასცეს ინფორმაცია და ამის არგაკეთების შემთხვევაში, რა სამართლებრივი შედეგი დადგება.

— წლების განმავლობაში, ინფორმაციის იძულებით მიწოდების გარდა, პრობლემა იყო უკანონო თვალთვალი და მიყურადება. ამ მხრივ, შეცვლილია ვითარება?

— მონაცემთა დამუშავების ის მოთხოვნები, რომელზეც გესაუბრეთ, არ ვრცელდება ოპერატიულ, სამძებრო და საგამოძიებო მიზნებისთვის მოპოვებულ მონაცემთა დამუშავებაზე. ამას არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არეგულირებს. ეს არ ნიშნავს, რომ ფარული მიყურადება და თვალთვალი კანონსმიღმა ხორციელდება, უბრალოდ, ამას არეგულირებს სხვა კანონი და საერთაშორისო ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კომპეტენცია ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შემთხვევებზე შეზღუდულია, საზოგადოების ინტერესებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ ეს მომიჯნავე სფეროა, ეს საკითხი ჩვენ ანგარიშშიცაა წარმოდგენილი. მოვთხოვეთ სასამართლოს სტატისტიკა, შინაგან საქმეთა სამინისტროსდან კი ინფორმაცია, რა ნაბიჯები გადადგეს ამ მიმართულებით. ანგარიშში ეს ინფორმაციაც ავსახეთ და ჩვენი რეკომენდაციებიც — საქართველოში არსებული პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებსა და კონვენციის მერვე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანა; ბალანსის დაცვა ადამიანის პირად ხელშეუხებლობასა და ვთქვათ, გამოძიების ინტერესებს შორის; ასევე იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიებას ხელი არ შეეშლება, ადამიანის უფლებაა, იცოდეს, რომ მის მიმართ ოდესღაც ხორციელდებოდა ფარული მიყურადება ან ვიდეოთვალთვალი.

— ამბობთ, რომ სასამართლო უწყებიდან და შსს-დან ინფორმაცია გამოითხოვეთ. საინტერესოა, როგორია „მიყურადების სტატისტიკა“, შსს-მ კი რა ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით?

— ფარული მიყურადებისა და თვალთვალის საკითხი, განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა 2013 წლის გაზაფხულზე, როცა შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია 2005-2012 წლებში შექმნილი ათასობით ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერის შესახებ. მათი საერთო მოცულობა 260 678 მეგაბაიტი იყო, ხოლო ჩანაწერების ხანგრძლივობა 1760 საათს აჭარბებდა. ამ საკითხზე, მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელსაც შს მინისტრი ხელმძღვანელობდა. აღმოჩენილი მასალა მოიცავდა პოლიტიკოსების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, აუდიოჩანაწერებსა და ფოტოებს. რამდენიმე ჩანაწერზე ასახული იყო პატიმართა წამების ფაქტები. კომისიამ მუშაობის პროცესში ვერ მოიძია პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რეკომენდაციით, კომისიამ შეიმუშავა ინტიმური ცხოვრების ამსახველი მასალის აღრიცხვის, უსაფრთხოებისა და განადგურების მეთოდოლოგია, რის შედეგადაც განადგურდა ინფორმაციის 112 ელექტრონული მატარებელი, ხოლო ძირითადი მასალა (633 ელექტრონული მატარებელი) გამოძიების მიზნით გადაეცა მთავარ პროკურატურას. აღსანიშნავია ისიც, რომ კონტროლის გამკაცრებისა და ინფორმაციის არამართლზომიერი მოპოვების შესაძლებლობების აღმოფხვრის მიზნით, შს სამინისტრომ განახორციელა რიგი ღონისძიებები. მაგალითად, სხვადასხვა სამინისტროში გაუქმდა დეცენტრალიზებული სახით არსებული ფარული მიყურადების სისტემები. დღეს, აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ხორციელდება ცენტრალიზებული სახით, ერთი კონკრეტული უწყების მიერ, რაც ზღუდავს არამართლზომიერი მიყურადების განხორციელების შესაძლებლობას და ამარტივებს კონტროლის მექანიზმების გამოყენებას; ფარული მიყურადება ხორციელდება სპეციალურ დაცულ, შეზღუდული დაშვების მქონე ზონებში. კონტროლის მიზნებისათვის გამოიყენება სამზღუდიანი, მათ შორის ბიომეტრული კონტროლის სისტემა; შეზღუდული დაშვების მქონე ზონებში გაუმჯობესდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, რომელთა მიზანია ინფორმაციის გაჟონვისა და მოპოვებული მასალის არამართლზომიერი დუბლირების მცდელობათა ფაქტების გამოვლენა-აღმოფხვრა; ინფორმაციის გაჟონვის თავიდან არიდების მიზნით, ზემოაღნიშნულ არეალებში გამკაცრდა ფოტო და ვიდეოტექნიკის, მობილური ტელეფონებისა და სხვა საშუალებების შეტანა; გამკაცრდა უფლებამოსილი პირების სისტემაზე წვდომის ელექტრონული აღრიცხვაც.

— შსს-სა და სასამართლოს გარდა, აქტიურად კიდევ რომელ უწყებებთან თანამშრომლობთ და ამ თანამშრომლობის შედეგი რა არის?

— საწყის ეტაპზე, როცა კანონი ახალია, მიდგომები კი უცხო, სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია. ჩვენი ერთ-ერთი ფუნქციაა, მონაცემთა დამმუშავებლებისთვის კონსულტაციის გაწევა. ამის საშუალება არაერთ უწყებას მივეცით. ტრენინგებიც ჩავატარეთ. მონაცემთა დამმუშავებლებთან, მათი ცოდნის ამაღლების მიზნით, ინტენსიურად ვმუშაობთ. შესაბამისი ნაბიჯები ზოგმა მათგანმა უკვე გადადგა, მაგალითად პოზიტიურია რამდენიმე ორგანიზაციის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შიდაპოლიტიკის შემუშავება და თანამშრომლობისთვის ტრენინგების ორგანიზება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარო სექტორის მონაცემთა ისეთი მსხვილი დამმუშავებლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორიცაა იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები, მათი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლოს იურიდიული პირები. პოზიტიურია ის გარემოებაც, რომ ინსპექტორის აპარატთან კონსულტაციების შედეგად, მთავრობის კანცელარიამ, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების, იძულებით გადადგილებულ პირთა სამინისტროებმა, ასევე საჯარო სამსახურის ბიურომ, სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოებმა, განსაზღვრეს მონაცემთა დამუშავების კონკრეტული საფუძვლები. რამდენიმე მათგანმა დახვეწა და კანონთან შესაბამისობაში მოიყვანა ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების პროცესი.

— ეს ყველაფერი საკმარისია იმისთვის, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ კანონი სრულფასოვნად ამოქმედდეს, საზოგადოება არის ამისთვის მზად?

— მოქალაქეთა ინტერესი საკმაოდ მაღალია. მოთხოვნა, მათი პირადი მონაცემები იყოს დაცული, პირად ცხოვრებაში უხეშად არავინ ჩაერიოს, საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს, მთავარია, ამ მოთხოვნას ადეკვატურად უპასუხონ მონაცემთა დამმუშავებლებმა. მნიშვნელობა არ აქვს, საჯარო ორგანიზაცია იქნება თუ კერძო. ყველა ორგანიზაციამ უნდა დაიცვას კანონი და იცოდეს, რომ მონაცემთა დამუშავება უნდა ემყარებოდეს კანონიერებას, სამართლიანობას, ღირსების შემლახავი არ უნდა იყოს და რაც მთავარია, ნებისმიერი მონაცემის შეგროვება-დამუშავებას სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს. კანონმდებლობა ხელს უწყობს გარკვეული სამართლებრივი საკითხების დარეგულირებას. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემისა და ინტერესის გათვალისწინების კულტურა კი, პარალელურად უნდა დამკვიდრდეს. ამ მიმართულებით, ბევრი რამაა გასაკეთებელი. მთავარი კი, ადამიანების ინფორმირებულობაა — მათ უნდა იცოდნენ როგორ დაიცვან საკუთარი უფლება. მათ ასევე, აქვთ უფლება, იცოდნენ სად მუშავდება მათი პერსონალური მონაცემები და რა მიზნით. ვებგვერდზე, სპეციალური განცხადებების ფორმატიც შევქმენით, რომელთა საშუალებით, მოქალაქეებს აქვთ საშუალება, კონკრეტულ დაწესებულებას მოსთხოვონ მათი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან ინფორმაციაში შესწორების შეტანა. ეს კულტურა ერთ და ორ დღეში არ დამკვიდრდება. არც პრობლემები მოგვარდება უცებ, მაგრამ პირადად ჩემი მიდგომა ასეთია, რაც შეიძლება გაკეთდეს დღეს, ხვალისთვის არ უნდა გადავდოთ! მესმის, ძნელია იმ ტექნოლოგიების მოდერნიზაცია, რომლებიც თავის დროზე დღეს არსებული სტანდარტების გარეშე, საკმაოდ ძვირად დამონტაჟდა, მაგრამ პრინციპების დაცვას რა უშლის ხელს? შეიძლება საბოლოო შედეგი და ძირითადი ეფექტი საზოგადოებამ შედარებით გვიან დაინახოს, მაგრამ ხალხი დღესვე უნდა ხედავდეს მონაცემთა თითოეული დამმუშავებლის მიერ გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს. ძალიან კარგია, რომ ამ ნაბიჯებს, დღეს, შესაბამისი უწყებები მართლაც დგამენ.

რუსეთი ყირიმში ეუთო-ს დამკვირვებლების შეშვებაზე უარს აცხადებს

რუსეთში აცხადებენ, რომ ყირიმში ეუთო-ს დამკვირვებლებს არ შეუშვებენ. როგორც ეუთო-ში რუსეთის წარმომადგენელმა, ანდრეი კელინმა განაცხადა, იმ მისიას, რომელიც უკრაინაში უნდა გაემგზავროს, ყირიმში მუშაობის მანდატი არ აქვს, რადგან ყირიმი უკვე რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდა. ეუთო უკრაინაში დამკვირვებელთა ფართომასშტაბიან რაოდენობას აგზავნის. ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მისიაში 500-მდე სამოქალაქო დამკვირვებელი იქნება და ისინი უკრაინაში 6 თვის განმავლობაში დარჩებიან.

დამკვირვებელთა პირველი ნაწილი მუშაობას ხერსონის ოლქში, ოდესაში, ლვოვში, ივანო-ფრანკოვოში, დონეცკში, დნეპროპეტროვსკსა და ლუგანსკში დაიწყებს. მთავარი ოფისი კი კიევში განთავსდება. საჭიროების შემთხვევაში, მისიის მუშაობის ვადა გაიზრდება.

„ინტერპრესნიუსი“

ალექსანდრე ანქვაბმა ვლადიმერ პუტინს ყირიმისა და სევასტოპოლის მიერთება მიულოცა

„აპსნი პრესის“ ცნობით, ანქვაბმა პუტინს მისალოცი წერილი გაუგზავნა.

„რუსი ხალხისა და სახელმწიფოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს დღეს მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა ეპოქალურ გადაწყვეტილებასთან – ყირიმისა და ქალაქ სევასტოპოლის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით“, — ნათქვამია აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის მისალოცწერილში.

„მედიანიუსი“

მამა გაბრიელის სხეულის წმინდა ნაწილები სამების ტაძარში 20 აპრილამდე დარჩება

წმინდა მამა გაბრიელის სხეულის წმინდა ნაწილები სამების საკათედრო ტაძარში აღდგომის დღესასწაულამდე, 20 აპრილამდე დარჩება. როგორც საპატრიარქოში აცხადებენ, წმინდა მამის ნაწილებს სამების ტაძარში დღე-ღამეში 70 ათასამდე ადამიანი მოილოცავს. ამდენად, პატრიარქის გადაწყვეტილებით, სამების ტაძარში, წმინდა ნაწილები 23 მარტის შემდეგაც დარჩება, როგორც ეს ადრე იყო განსაზღვრული.

საპატრიარქოში აცხადებენ, რომ ანალოგიური გადაწყვეტილებაა მიღებული ბეთანიელი წმინდა მამების შესახებაც. ღირსი მამა იოანე (გიორგი) მხეიძისა და ღირსი იოანე მაისურაძის წმინდა ნაწილები ბეთანიის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძარში აღდგომამდე იქნება დასვენებული. ამასთან, საპატრიარქოს ცნობით, დიდმარხვის ბოლოს, პატრიარქი მიიღებს გადაწყვეტილებას, სად იქნება წმინდა მამა გაბრიელის და ბეთანიელი მამების საბოლოო განსასვენებელი. შესაძლოა, ისინი აკლდამებში ჩაასვენონ.

„ინტერპრესნიუსი“

ჰაერში გასროლილი 60 მილიონი და დიდი ქაოსი პროფგანათლებაში

აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები განათლების სამინისტროს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ანგარიშის — „პროფესიული განათლება საქართველოში — მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები“ — პრეზენტაცია გამართა. როგორც გენერალურმა აუდიტორმა, ლაშა თორდიამ განაცხადა, აუდიტის მიზანი მთავრობის მიერ პროფგანათლების სფეროში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლა იყო. მისივე განმარტებით, შესწავლის შედეგად რიგი ხარვეზი და ნაკლოვანება გამოიკვეთა, რომელთა აღმოსაფხვრელადაც სამინისტროს რეკომენდაციებით მიმართეს. „არის გარკვეული თემები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მივიჩნიეთ. დასკვნაში საუბარია, რომ იმ ადამიანების დიდი პროცენტი, ვინც პროფესიულ სწავლებაში მონაწილეობდა, დაუსაქმებელია... სახელმწიფო აფინანსებს პროფესიულ სასწავლებლებს, რომ მოქალაქეები შემდგომი დასაქმების მიზნით გადაამზადონ. როცა ვხედავთ, გადამზადებული პირების დაახლოებით 70% დაუსაქმებელია, რა თქმა უნდა, კითხვისნიშნის ქვეშ ვაყენებთ, რამდენად სწორადაა დაგეგმარებული აღნიშნული პროცესი. დაგეგმარება არასწორად განხორციელდა — არ იყო შესწავლილი საჭიროებები მუნიციპალიტეტებში ან რა პროფესიებზე იყო მოთხოვნა, შესაბამისად, ვაძლევთ რეკომენდაციას განათლების სამინისტროს, წინასწარ შეფასდეს, რა პროფესიებია მოთხოვნადი“, — აცხადებს გენერალური აუდიტორი.

განათლების მინისტრის პირველი მოადგილის, **ქეთევან ნატრიაშვილის** განცხადებით, უწყება აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის მზადაა: **„ეფექტიანობის აუდიტი ჩატარდა ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობით. განათლების სამინისტრომ ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდა აუდიტის სამსახურს, რათა გვქონოდა პრობლემების აღწერა და რეკომენდაციები. 2012 წლის შემოდგომაზე უკვე ნათელი და გამოკვეთილი იყო ის პრობლემები, რომლებიც პროფესიული განათლების სისტემას ჰქონდა. მაშინვე დავიწყეთ ამაზე მუშაობა და 2013 წლისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. ამ მომენტისთვის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია და გავაგრძელებთ მუშაობას დანარჩენი რეკომენდაციების შესრულებაზეც“.**

აღსანიშნავია, რომ გასული 5 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე 60 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული. ამ ფონზე, აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საკუთარი პროფესიით დასაქმება კურსდამთავრებულთა მხოლოდ 23-%-მა მოახერხა: **„აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, შრომის ბაზარზე არსებული ინფორმაციის სიმწირის გამო, სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს განსაზღვრული პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან“.**

ამასთან, უწყება დაფინანსების სისტემაზეც ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ სასწავლებლებზე თანხები არაოპტიმალურად ნაწილდებოდა. **„ვაუჩერის ფიქსირებული ხასიათის გამო, სასწავლებლებზე გაცემული თანხები არ შეესაბამებოდა მათ რეალურ საჭიროებებს. ვაუჩერის გაცემის სისტემის ნაკლოვანებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხის (თითქმის 2 მილიონი ლარი) არაეფექტურად ხარჯვა“,** — აღნიშნულია ანგარიშში, რომელიც 2010-2012 წლებსა და 2013 წლის პირველი ნახევარს ეხება.

პროფესიული განათლების პროფკავშირის ხელმძღვანელის, **დენის დავითაშვილის** შეფასებით, აუდიტის სამსახურის ანგარიში 95%-ით ასახავს ამ სფეროში არსებულ ვითარებას. მისივე თქმით, ეს რეკომენდაციები მხოლოდ განათლების სამინისტრომ კი არა, მთლიანად ხელისუფლებამ, სოციალურ პარტნიორებთან (დამსაქმებლები და პროფკავშირები) ერთად, ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატში უნდა მოისმინოს და საჭირო გადაწყვეტილებები მიიღოს:

„საჩქაროდ გამოსასწორებელია უამრავი პრობლემა, რომელიც არსებობდა და დღესაც არსებობს პროფგანათლებაში. ვერ დავეთანხმები განათლების მინისტრის მოადგილეს, რომ 2012 წლის ბოლოსთვის ამ სფეროში არსებული პრობლემები სამინისტროსთვის ცნობილი იყო, რადგან მაშინ მუშაობდა დეპარტამენტი, რომელმაც ამდენი ხარვეზი დაუშვა. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, განათლების მაშინდელ მინისტრ გიორგი მარგველაშვილსაც შევხვდი და მის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილსაც, საკითხები დავაყენე, მაგრამ დღემდე არაფერი დაწყებულა და, მით უმეტეს, არც დასრულებულა. ამას გამჭვირვალე მუშაობა სჭირდება ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატში. პრობლემატიკა ეხება პროფგანათლებაში მიღებას, დაფინანსებას, დასაქმებას, სასწავლო პროცესს და ა.შ. არ მომწონს, როცა ამბობენ, ჩვენი რეკომენდაცია ერთადერთია, სწორია და ამის მიხედვით ვიმოქმედოთო. კარგი იქნება, თუ აუდიტის სამსახური თავისთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე გაერთიანდება, 2013 წლის სურათსაც განვიხილავთ და ვნახავთ, საით მივდივართ“.

დავითაშვილის თქმით, როცა სისტემის დაფინანსებაზე საუბრობენ, კაციშვილი არ ამბობს, რომ მსოფლიოში დიდი ხანია ნორმატიული დოკუმენტების შექმნაა აპრობირებული, მაგალითად თითოეული სპეციალობის მიხედვით, რომელი სახელოსნო იყოს და იქ როგორმა ნორმატიულმა ბაზამ იმუშაოს. მისივე თქმით, თუ ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულ სახელოსნოს რამდენი და რა სახელწოდების ჩარხი, სხვა აუცილებელი მოწყობილობა-დანადგარი სჭირდება, ასევე რამდენი ტრაქტორი და კომბაინი, სულ ასეთ „დაყენებულ პოზაში“ ვიქნებით, რომ პროფესიული კოლეჯი დაჩაგრულია: **„სახელმწიფომ შექმნილი ნორმატიული ბაზის მიხედვით უნდა დაფინანსოს პროფგანათლება, რაც ზოგადი და ზერელე საკითხი ნამდვილად არაა. მიუღებელია, რომ დღეს ერთ კოლეჯში ხელფასი 18 ლარია (საათობრივად), მეორეში 15 და ყველა დანარჩენში რვა. ვაუჩერების გაანგარიშება თავიდან უნდა გადამოწმდეს“.**

რაც შეეხება სისტემის სწორ დაგეგმარებას იმ ფონზე, როცა პროფესიულ განათლებამიღებულთა 70% დაუსაქმებელია, დენის დავითაშვილი ამ „ჯანსაღ კრიტიკულ რეკომენდაციასაც“ ეთანხმება და დასძენს, რომ საქართველოში შრომის ბაზარი დიდი ხანია არ შესწავლილა. მისივე თქმით, 90-იანი წლების შემდეგ ამ მხრივ ვითარება აბსოლუტურად შეცვლილია — ქვეყანაში უამრავი ჩინელი, ინდოელი თუ თურქი მუშა შემოიყვანეს: **„ჩვენი დამსაქმებლები ნაკლებად სცემენ პატივს ქართველ ახალგაზრდობას. უცხოეთიდან ჩამოსულები კი კმაყოფილნი არიან, რადგან საკუთარ ქვეყნებში სამუშაო არ აქვთ... სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებაზე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებთ, რადგან ამ სექტორში, პრაქტიკულად, თვითდასაქმებაა. რაიონში ყველას თავის მიწა აქვს, მაგრამ ძალიან ბევრი მიწა დაუმუშავებელია. როცა ადგილებზე პროფესიული კოლეჯების სისტემას შევქმნით, მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სპეციალობას დაეუფლოს და მერე თავისი მიწის ნაკვეთზე, შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს, დოვლათი შექმნას, საკუთარი თავი და ოჯახი არჩინოს... კასპი, ხაშური, სამტრედია, ჭიათურა, ტყიბული, რუსთავი და ქუთაისი, ძირითადად, მსხვილ წარმოებებზეა მიბმული და დამსაქმებლებთან შეჯერებული უნდა იყოს ის სპეციალობები, რომლებიც დღეისთვის შენარჩუნებულ წარმოებებს ესაჭიროება. მომზადება სწორედ მათი დაკვეთით უნდა განხორციელდეს. ყველაფერ ამას ბაზრის დიდი შესწავლა არ სჭირდება, საჭიროა კონკრეტულ დამსაქმებლებთან კონტაქტი, ძველი სისტემის გახსენება და ნაბიჯების გადადგმა. ზოგიერთი გვეუბნება, ჩვენთან ამ სფეროში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ესტონეთშიო, მაგრამ ასეთებს საკუთარი თავის გამოჩენა ამოძრავებთ. ელემენტარულად, სპეციალისტები არ გვყავს, რომლებიც ევროპული დონის სტანდარტებს შეადგენენ, ტრაბახი მხოლოდ ამბიციაა! ამ პრობლემის მოგვარებას სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობა სჭირდება და არა ლოდინი, აუდიტის სამსახური ნაკლოვანებებს როდის გამოავლენს და ძალიან მოზომილად იტყვის, ესა და ეს უნდა გამოსწორდესო. მოდი, საქმეს ერთად მივხედოთ.“**

„ვერსია“ პროფგანათლებაში არსებულ რთულ მდგომარეობაზე ადრეც წერდა. წინა ხელისუფლება დარგში გადადგმულ ნაბიჯებს ხშირად პიარისთვის იყენებდა, ახალი მთავრობაც, საქმის ნაცვლად, მხოლოდ ლაპარაკობს. მოკლედ, თუ ხელისუფლება პოლიტიკას პროფგანათლების სფეროს პროფესიონალებთან ერთად არ შეიმუშავებს და კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს, „ძველი სიმღერების“ მოსმენა კიდევ დიდხანს მოგვიწევს.

დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვებისთვის თბილისში, „მზის შვილების“ ინიციატივით, უფასო სარეაბილიტაციო ცენტრი იხსნება

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ ჯანდაცვის სამინისტროს წინ აქცია გამართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ამჟამად დაუნის სინდრომით დაბადებულ ბავშვებს სტატუსი მხოლოდ 5 წლის ასაკის ზემოთ ენიჭებათ, რის გამოც ისინი ვერ სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებული სოციალური ბენეფიტებით, რაც დისკრიმინაციაა.
აქციის მონაწილეებს ჰქონდათ პლაკატები: „საზოგადოება ყველასთვის, დისკრიმინაციის გარეშე“, „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“, „მეც შენასვით განსხვავებული ვარ“.

კოალიციის წევრის, **რატი იონათამიშვილის** განცხადებით, 2012 წლის 28 დეკემბერს აღნიშნული საკითხი პრემიერ-მინისტრთან არსებულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზეც დადგა და მაშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, მოკლე ვადაში შეეტანათ ცვლილებები შესაბამის ბრძანებაში, თუმცა მას შემდეგ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა:

„სტატუსი 80-90-იანი წლების მეთოდებით დგინდება და მისი მინიჭება მხოლოდ დიაგნოზზეა დაფუძნებული, არ არის დანერგილი დასავლური სტანდარტი — ინდივიდუალური პასპორტიზაცია... პრობლემის მოგვარება აქამდეც შეიძლებოდა, რადგან სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულებები ჰქონდა: 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმაში ეწერა, რომ 2012 წლის შემოდგომისთვის, ამ სფეროში, ადამიანების საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი სტატუსის მინიჭება მოხდებოდა. დღემდე გრძელდება მხოლოდ ნოზოლოგიებისა და სამედიცინო დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. მოკლედ, რეფორმის ეს კომპონენტი მთლიანად ჩავარდა, რაც სამწუხაროა... ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევრისთვის რეფორმა განხორციელდება, მაგრამ ჩვენთვის ეს საკმარისი არაა, მით უმეტეს, რომ საქმე ბავშვებსა და მათ ჯანმრთელობას ეხება. სამოქალაქო სექტორმა კონტროლი უნდა გააძლიეროს ამ გადაწყვეტილების მიღების დაჩქარებაზე. ვიმედოვნებთ, მთავრობა შეასრულებს გასული წლის ბოლოს გაკეთებულ განაცხადს, ქვეყანა შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან, სოციალურ მიდგომაზე გადავა და მოხდება კონვენციის რატიფიცირება; მნიშვნელოვანია, რომ დაიწყო მუშაობა კანონმდებლობაზე, რომელიც სტატუსის მინიჭების პრობლემას გადაწყვეტს. არასამთავრობო სექტორმა ამ პროცესზე პოზიტიური გავლენა უნდა მოახდინოს და მთავრობის გადაწყვეტილებებზე კონტროლი გააძლიეროს. თუ ამას არ გავაკეთებთ, სამომავლოდ, უარეს შედეგებს მივიღებთ იმის გათვალისწინებით, რომ ოთხი–ხუთი წელი გავიდა და სახელმწიფოს დანაპირები დღემდე არ შეუსრულებია“.

კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე მომუშავე 23 არასამთავრობო ორგანიზაციის კავშირს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს შშმ პირთა დამოუკიდებლობასა და კეთილდღეობას ქართულ საზოგადოებაში, დაიცვას მათი სამოქალაქო ინტერესები და უფლებები.

ზემოხსენებულ აქციას სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი გია კაკაჩია ეხმაურება და ამბობს, რომ სოციალურ-სამედიცინო ექსპერტიზის სისტემა შესაცვლელია და მასში ცვლილებები 2014 წლის მეორე ნახევრიდან შევა. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით კი, **„ეს ადამიანები ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, ამიტომ ვალდებულნი ვართ, მეტი ვიცოდეთ დაუნის სინდრომის შესახებ. მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილნი შევძლებთ ამ ადამიანებზე ზრუნვას, მათი უფლებების დაცვასა და პირობების შექმნას, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოში, როგორც ცივილიზებულ ქვეყანაში, ბავშვებს დაუნის სინდრომით გზა უნდა გავუხსნათ ჩვეულებრივ ბაღებსა და სკოლებში, მაქსიმალურად ჩავაბათ შემოქმედებით საქმიანობასა თუ სპორტში, რათა მშვიდად იცხოვრონ ახლობლების გარემოცვაში, იგრძნონ თავი ჩვენი საზოგადოების სრულფასოვან, ღირსეულ წევრებად და თავის წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. მეც, როგორც პრეზიდენტი და მოქალაქე, თავს ვალდებულად ვგრძნობ, მეტი ყურადღება და დრო დავუთმო იმ გზებისა და საშუალებების შესწავლას, რომლებიც ყველას სოლიდარულ თანაცხოვრებამდე მიგვიყვანს“.**

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს უმასპინძლა. შეხვედრას 25 ბავშვი და მათი ოჯახის წევრები დაესწრნენ. უწმინდესმა ისინი დალოცა, მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებზე დაბრძანებული ჯვრები გადასცა და ტკბილეულით დაასაჩუქრა. ამასთან, პატრიარქი დაინტერესდა, იციან თუ არა პატარებმა ლექსები, ბრაზდებიან თუ არა, აკეთებენ თუ არა სახლში რამეს, მაგალითად, წმენდენ თუ არა ოთახს. პატარებმა უწმინდესს ლექსები წაუკითხეს და იგალობეს, ერთ-ერთმა კი პატრიარქს თავის ნახატი აჩუქა. დაუნის სინდრომით დაბადებული ერთ-ერთი ბავშვის დედამ კი ყველა მშობელს ურჩია, საკითხს ტრაგიკულად არ შეხედონ. მისივე თქმით, ბავშვები ჩვეულებრივად ვითარდებიან, შესაძლოა, რაღაც საკითხებში ჰქონდეთ შეფერხება, თუმცა ყველაფერი ადვილად გადასალახია და მთავარია, რომ კარგები არიან.

ცნობისთვის, დაუნის სინდრომი ქრომოსომული დარღვევაა, რომელიც იწვევს ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური განვითარებისა და მეტყველების შეზღუდვას. მის საფუძველს წარმოადგენს ქრომოსომული აპარატის ანომალია, რომელიც ვლინდება უპირატესად ერთი ზედმეტი ქრომოსომის არსებობაში. დაუნის სინდრომი არ არის მემკვიდრეობითი, არც გადამდებია; საჭირო ყურადღების პირობებში, ამ სინდრომის მქონე ბავშვები ბევრ რამეს ადვილად ითვისებენ.

სხვათა შორის, როგორც დაკვირვება ცხადყოფს, საქართველოში მშობლების უმეტესობა მალავს, რომ მისი შვილი დაუნის სინდრომითაა დაავადებული. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ კუთხით აქტიურობა დაიწყო, ჟურნალისტი ინგა ლოლაძეა — ინგას 4 წლის შვილი ნინო დაუნის სინდრომით დაიბადა... სხვათა შორის, ინგა ლოლაძის არასამთავრობო ორგანიზაცია — „მზის შვილები“ დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვებისთვის საქართველოში უფასო სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნას გეგმავს...

სამართალდამცავებმა ყაჩაღობა გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ლაშა მ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 9 თებერვალს, თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში ლაშა მ. თანამზრახველებთან ერთად თავს დაესხა გელა რობაქიძის ოჯახს, საიდანაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით 20 000 ლარი, 4 000 აშშ დოლარი, 1 500 ევრო, 750 თურქული ლირა, ოქროს სამკაულები გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულში ბრალდებული ერთი პირი უკვე დააკავეს, კიდევ სამი პირის ვინაობა დადგენილია. მათ დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე ბათუმის საკრებულოს წევრი ამხილა

სამართალდამცველებმა ბათუმის საკრებულოს წევრი მამული ჟღენტი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თაღლითობაში დახმარების ფაქტზე, ხოლო მოქალაქეები – მალხაზ გ. და გუგული დ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე ამხილეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის ივლისში გუგული დ-მ და მისმა შვილმა მალხაზ გ-მ ბათუმში სახელმწიფოს კუთვნილი 863 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოტყუებით დაუფლება განიზრახეს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მათ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი თვითნებურად შეღობეს. თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელ მუდმივმოქმედ კომისიას განცხადებით მიმართეს, თითქოს გუგული დ. 20 წლის განმავლობაში ფლობდა მითითებულ მიწის ნაკვეთს და მასზე საკუთრების უფლების მოპოვება ითხოვეს.

ბათუმის საკრებულოს წევრმა და ამასთანავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მამული ჟღენტმა გუგული დ-სა და მალხაზ გ-ს განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, კომისიის წევრები შეცდომაში შეიყვანა და დაარწმუნა, რომ გუგული დ-სთვის მიწის ნაკვეთის გადაცემა კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. აღნიშნული გზით გუგული დ. და მალხაზ გ. 863 კვ.მ მიწის ნაკვეთს თაღლითურად დაეუფლნენ, რითიც სახელმწიფოს დიდი ოდენობით – 149149 ლარის მატერიალური ზარალი მიადგა.

გამოძიება მამული ჟღენტის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თაღლითობაში დახმარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 25-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო გუგული დ-სა და მალხაზ გ-ს მიმართ – წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ინტერპრესნიუსი“

ოქროს სამკაული ჯანმრთელობას ვნებს

ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ოქროს სამკაული ერთგვარი ანტისეპტიკია, რომელსაც შეუძლია ადამიანი მავნე მიკროორგანიზმებისგან დაიცვას. გარდა ამისა, ადამიანებს დღემდე სჯერათ, რომ ეს ძვირფასი ლითონი საიმედო დაცვაა „ჯადოსა და თვალისგან“, მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ოქროს სამკაულის ტარება, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა ნეგატიურად აისახოს ადამიანის ჯანმრთელობაზე: ოქრო აუარესებს მეტაბოლიზმს და დეპრესიას პროვოცირებს. სწორედ ამის გამო, ზედმეტად ემოციური ადამიანები, სჯობს, არ „დაიხუნძლონ“ ამ ძვირფასი ლითონით. ოქრო განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს ეპილეფსიით დაავადებულებზე, რომელთაც ექიმები ურჩევენ, საერთოდ არ ატარონ მისგან დამზადებული ნაკეთობები, რადგან ოქროს ბრწყინვალებამ ცვალებადი განათების დროს, შესაძლოა, ამ დაავადების შეტევა გამოიწვიოს. სწავლულთა განცხადებით, დიდი ქალაქების მცხოვრებლებიც ფრთხილად უნდა უნდა მიუდგნენ ოქროსგან დამზადებულ საიუველირო ნაწარმს, რადგან მეგაპოლისში ცხოვრება სტრესთანაა დაკავშირებული, რასაც ადამიანი ხშირად დეპრესიამდე მიჰყავს, ოქრო კი მხოლოდ აძლიერებს დეპრესიას და მკურნალობასაც ართულებს. ასეთმა ხალხმა, თუკი თავი სამკაულის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ, მეცნიერების რჩევით, სჯობს, ვერცხლის ნაკეთობები ატარონ — სწორედ ვერცხლია ბუნებრივი ანტისეპტიკი და ადამიანის ფსიქიკაზეც სასიკეთო გავლენას ახდენს.

ღალატის მტკიცებულება მტვერსასრუტში აღმოაჩინა

დიდ ბრიტანეთში, ქალაქ კროიდონის მცხოვრები 32 წლის ქალბატონი იძულებული გახდა, მეუღლეს სარემონტო სახელოსნოდან დაბრუნების შემდეგ გაშორებოდა. საქმე ისაა, რომ მელისამ გადაწყვიტა, გაფუჭებული მტვერსასრუტი შეეკეთებინა და სახელოსნოში წაიღო, მაგრამ, როცა ხელოსანმა საყოფაცხოვრებო ტექნიკა დაშალა და მფლობელს დაზიანების „მიზეზი“ უჩვენა, ქალმა აღარ იცოდა, სირცხვილისგან სად წასულიყო. თანაც, აღმოჩნდა, რომ მტვერსასრუტში ნაპოვნი საცვალი მისი არ იყო. ტექნიკის შეკეთების შემდეგ სახლში დაბრუნებულმა მელისამ სკანდალი მოაწყო. მეუღლე თავიდან ბრალდებას უარყოფდა, მაგრამ მოგვიანებით ცოლს ღალატში გამოუტყდა და იძულებული გახდა, სახლიდან წასულიყო.

გუბეში გავლისთვის მართვის მოწმობა ჩამოართვეს

ბრიტანელი მამაკაცი მართვის მოწმობის გარეშე დარჩა და ბრიტანულმა სასამართლომ „დამნაშავეს“ სოლიდური ჯარიმაც დააკისრა — 500 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ასეთი სასჯელი 22 წლის სემუელ ლისმა დაიმსახურა ინგლისის ქალაქ კოლჩესტერიდან, რომელიც დილას საკუთარი ავტომობილით სამსახურში მიიჩქაროდა და სწრაფად გაიარა გუბეში, შედეგად კი ფეხით მოსიარულეები (ქალბატონი და მისი ორი შვილი) გაწუწა. პოლიციელი ამ ფაქტის მოწმე შემთხვევით აღმოჩნდა. კოლჩესტერის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ახალგაზრდა მამაკაცს განაჩენი გამოუტანეს, რომელიც დამნაშავემაც და დაზარალებულმაც ზედმეტად მკაცრად ჩათვალეს.

„კულინარიული დისნეილენდი“ აპენინებზე

აპენინებზე, ქალაქ ბოლონიაში გასართობი პარკი Fico Eataly World გაშენდება, რომელიც 80 ათას კვადრატულ მეტრზე განთავსდება და კულინარიული დისნეილენდის სახით იქნება წარმოდგენილი, მისი დამფუძნებლები კი იმედოვნებენ, რომ წელიწადში 10 მილიონზე მეტ მნახველს მიიზიდავენ. გენერალური დირექტორის, ოსკარ ფარინეტის სურვილია, პარკი ტურისტებისა და გურმანებისთვის ახალი იტალიური მექა გახდეს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკასაც წაადგება. პროექტის მიხედვით, უზარმაზარ ცენტრში განთავსდება რესტორნები, სასურსათო მაღაზიები, საკვები პროდუქტის ლაბორატორიები და უზარმაზარი აკვარიუმიც კი. Fico Eataly World-ის მშენებლობა 60 მილიონი დოლარი დაჯდება და როგორც ვარაუდობენ, მსოფლიოში პირველი თემატური იტალიური სამზარეულოს პარკი გაისად, ნოემბერში გაიხსნება.

მოხუც გეებს თავშესაფარი გაუხსნეს

სტოკჰოლმში მოხუცთა თავშესაფარი გაიხსნა, რომელიც გეების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა თუ ბისექსუალებისთვისაა განკუთვნილი და ერთადერთია ევროპაში. „რეგნბაგენ ჰაუსში“ 40-მდე ხანდაზმული ცხოვრობს და დასახლების სურვილი სექსუალური უმცირესობის კიდევ 95-მა წარმომადგენელმა გამოთქვა. როგორც შვედეთის მედიაში აცხადებენ, მსგავსი სახლების მშენებლობა საშუალებას იძლევა დაკმაყოფილონ მოთხოვნა „ბინების პროფილურ პროექტებზე“ ანუ ისეთ თავშესაფრებზე, სადაც ადამიანებს რელიგიური, კულტურული ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით შეასახლებენ.

ქალაქის არომატული გზამკვლევი ტურისტებისთვის

ბრიტანული ქალაქ იორკის ერთ-ერთმა ტურისტულმა ბიურომ ბროშურა გამოუშვა, რომელიც მოგზაურებს ქალაქის სურნელს გააცნობს. გამოცემის ყოველი გვერდი, სპეციალური ტექნოლოგიების მეშვეობით, ამა თუ იმ არომატითაა გაჟღენთილი, იორკის რაიონების ღირსშესანიშნაობების შესაბამისად. ეს პირველი ოლფაქტორული გზამკვლევია ნისლიან ალბიონზე, ბროშურაში 12 გვერდი კი წლის დროების მიხედვითაა განაწილებული — მაგალითად, ჭაობის გამოსახულებას იორკის ჩრდილოეთით ველური ბალახებისა და ტორფის სუნი ასდის, რკინიგზის სადგურს კი — ნახშირის, მანქანის ზეთებისა და ფოლადის. იორკის შოკოლადის ფაბრიკის გვერდი კაკაოს, კარაქისა და შაქრის არომატს აფრქვევს, ქალაქის პარკის ფოტოდან კი ლავანდისა და ვარდების სურნელი მოდის. ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, სურნელი ყველაზე კარგად აღიბეჭდება ადამიანის მეხსიერებაში და ახალ შთაბეჭდილებებს აყალიბებს, ამიტომ ოლფაქტორული გზამკვლევი ტურისტებს დაეხმარება, სამუდამოდ დაამახსოვრდეთ იორკში მოგზაურობა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

უფასო ლუდი ვირთხის სანაცვლოდ



ახალზელანდიელმა ფილანთროპმა გარეტ მორგანმა, რომელიც ველინგტონში ცხოვრობს, უნიკალური მეთოდი მოიფიქრა ვირთხებისგან ქალაქის გასათავისუფლებლად: იგი უფასო ლუდს სთავაზობს ყოველ სტუდენტს, ვინც მღრღნელს დაიჭერს და მოკლავს. მორგანი დარწმუნებულია, რომ ვირთხა საშიში მავნებელია და ქალაქის ეკოლოგიას ზიანს აყენებს. მორგანი გატაცებულია საკუთარი ქვეყნის ველური ბუნებით და მზადაა, მის დასაცავად, თავად დააფინანსოს ეს აქცია, რომელიც სტუდენტებისთვის საკმაოდ მაცდუნებელი წინადადებაა და მასზე უარის თქმა ძნელია. რასაკვირველია, ახალგაზრდების უმრავლესობა მზადაა ამ ბრძოლისთვის უფასო ლუდის გამო, ადგილობრივი უნივერსიტეტი კი ნებისმიერი სახით ჩაიბარებს მღრღნელებს — ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის გარეტ მორგანის პირველი ექსცენტრული პროექტი, ადრე მან კამპანია წამოიწყო ქალაქის უპატრონო კატებისგან გასათავისუფლებლად, რათა „ადგილობრივი“ ჩიტები გადაერჩინა, ახლა კი 100 ხაფანგი იყიდა და პაბში შეუზღუდავი ანგარიში გახსნა, ვირთხებზე მონადირეთა დასაჯილდოვებლად.

სუდოკუ ყველა

ადვილი

	8							
		9		3		7		6
6							4	3
		4		8	3		5	
	5		6		4		8	
	3		5	2		6		
7	4							5
5		1		6		9		
							7	

სტანდარტი

3			4			9		
	6			7		1	4	
4			6		3			
		1		6		2		
			2		4			
		9		1		6		
			1		8			7
	8	6		3			9	
		3			6			8

რთული

	9	5						6
1					5		3	2
				9				4
				3			4	
		2	5		9	8		
	7			2				
5				7				
4	8		3					9
2						4	1	

ექსპერტი

	6	5				1		
	4				9	7		
		7	8	5				
	3	1		9	5		4	
	5		1	8		3	2	
				7	8	9		
		9	3				8	
		8				6	5	

პროდუქტი, რომელიც მიჩვევას იწვევს

ადამიანს საკვების გარეშე გაძლება არ შეუძლია, თუმცა კარგი იქნება, ეს დამოკიდებულება მხოლოდ დაბალკალორიულ სასარგებლო პროდუქტზე ვრცელდებოდეს. სპეციალისტებმა პოპულარული კვებითი „ნარკოტიკების“ სია შეადგინეს, რომელიც მიჩვევას იწვევს და მავნებელია. ერთ-ერთი უპირველესი შაქარია — კანფეტი, შაქრისშემცველი სასმელი, თეთრი პური, ცომეული... რისკჯგუფში განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლები ხვდებიან, რომლებიც ამგვარ საკვებზე ხდებიან დამოკიდებულნი.

ყველი — ცოტა ხნის წინ სწავლულებმა დაადგინეს, რომ ყველი ნარკოტიკული ნივთიერების მსგავს დამოკიდებულებას იწვევს, ეს პროდუქტი შეიცავს კაზეინს — პროტეინს, რომელიც საჭმლის მონელების დროს იყოფა და ოპიატებს, ე.წ. კაზომორფინს წარმოქმნის. ყველში გაცილებით მეტი კაზეინი ყოფილა, ვიდრე რძეში, ნაყინში, კარაქსა თუ რძის სხვა პროდუქტში, სწორედ ამიტომ მეტად იწვევს შეჩვევას.

ფასტ-ფუდი — საკმარისია, ადამიანმა თუნდაც 200 მეტრის მანძილიდან იგრძნოს სწრაფი კვების ობიექტიდან გამომავალი მადისაღმძვრელი სურნელი, რომ მასზე უარის თქმა უჭირს. ასეთი დაწესებულებებიდან გამომავალი არომატი სანერწყვე ჯირკვლებს თურმე გაძლიერებულად ამუშავებს და მკვლევართა თქმით, 100%-იან დამოკიდებულებას იწვევს. ამის დასადასტურებლად კალიფორნიის უნივერსიტეტის სწავლულებმა ექსპერიმენტიც ჩაატარეს: ლაბორატორიულ ვირთხებს ორი თვის განმავლობაში აჭმევდნენ ტიპურ საკვებს სწრაფი კვების ობიექტიდან — კარტოფილ ფრის, ჰამბურგერს... მესამე თვის დასაწყისში კი ისინი ჩვეულ რაციონზე გადაიყვანეს, მაგრამ ვირთხები ნაკლებად აქტიურები გახდნენ და მკვლევარებმა დეპრესია დაუდგინეს. აღმოჩნდა, რომ პროდუქტი ცხოველური ცხიმებისა და ნახშირწყლების მომატებული შემცველობით ხელს უწყობს ენდორფინის — ე.წ. კმაყოფილების ჰორმონების გამომუშავებას, ამაღლებს განწყობას და იწვევს დამოკიდებულებას.

ცხელი შოკოლადი ცვინს აახალგაზრდავებს

ინგლისელმა სწავლულებმა, ახალი ექსპერიმენტით, იმის დამტკიცება შეძლეს, რომ ცხელი შოკოლადი სასიკეთო გავლენას ახდენს ადამიანის ტვინზე. ცდების დროს დადასტურდა პროდუქტის გამაახალგაზრდავებელი ეფექტი ხანდაზმული ადამიანების ტვინზე. ექსპერიმენტში 70 წელს გადაცილებული 60 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად 2 ფინჯან სასმელს მიირთმევდნენ. შემდეგ კი მონაწილეებს ტესტი ჩაუტარეს და აღმოჩნდა, რომ მათი ტვინის მოქმედება 8,3%-ით გაუმჯობესდა. ასეთ დადებით ეფექტს ექსპერტები იმით ხსნიან, რომ ცხელ შოკოლადში ანტიოქსიდანტების, პოლიფენოლებისა და ფლავანოიდების მაღალი კონცენტრაციაა, ეს ნივთიერებები კი თავის ტვინის დაზიანებულ უჯრედებს აღადგენს. მეცნიერებმა ისიც გაარკვიეს, რომ შოკოლადის სასმელი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ფილა, რადგან ცხელი კაკაო უკეთ წმენდს სისხლძარღვებს.

გაზიანი სასმელი ცვინს ვნებს

ავსტრალიელმა მეცნიერებმა სიდნეის უნივერსიტეტიდან გაზიანის სასმელის გავლენა შეისწავლეს თავის ტვინზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ სასმელის ჭარბი მოხმარება ტვინში ცილის დონეს ცვლის და მისმა რეგულარულმა მოხმარებამ, შესაძლოა, ჰიპერაქტიურობა გამოიწვიოს. მკვლევარებმა „ტკბილი დიეტა“ ლაბორატორიულ ვირთხებს ჩაუტარეს — სასმელის ნაცვლად, მათ დამტკბარ წყალს აძლევდნენ, კვლევებმა კი აჩვენა, რომ შაქრის მაღალი შემცველობის მქონე სასმელმა რადიკალურად შეცვალა მღრღნელების ტვინის ქიმიური შემადგენლობა და მათი ქცევაც. მსგავსი ცვლილებები ტვინზე აღენიშნებათ ონკოპაციენტებსა და მათ, ვისაც ალცჰეიმერის დაავადება სჭირს, — ამბობენ ავსტრალიელი მკვლევარები. ახლახან მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ დღეში რამდენიმე ქილა გაზიანი სასმელი ადამიანის სიცოცხლეს ორჯერ ამცირებს, ღვიძლით, გულითა და დიაბეტით დაავადებულებს კი განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის.

სუნთქვით დაავადებებს დაადგენენ

სწავლულების ბოლო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანის ორგანიზმში დაბუდებული ბევრი დაავადება სპეციფიკურ სუნს ანიჭებს მის სხეულსა თუ სუნთქვას, მეცნიერებმა ასეთი „არომატის“ სია წარმოადგინეს: მაგალითად, თუ ადამიანს პირიდან ლაქის მოსაცილებელი სითხის სუნი ამოსდის, შესაძლოა, მას დიაბეტი სჭირდეს, ღვიძლის დაავადება კი სუნთქვას უმი თევზის სუნს ანიჭებს... თუმცა, მხოლოდ სუნთქვა არ ამხელს ჩვენს დაავადებებს — შარდის ბუშტის პრობლემებისას შარდს ამიაკის სუნი აქვს. განზე არც ოფლის გამოყოფა რჩება: შიზოფრენიის გამოვლინებისას ოფლს ძმრის სუნი აქვს, მუცლის ტიფი კანს ახალგამომცხვარი პურის სუნს აძლევს, ყვითელი ციების დროს ავადმყოფის კანს ისეთი სუნი ასდის, როგორსაც საყასბოში შეიგრძნობთ. ლიმფური კვანძების ინფექციისას პაციენტისგან დაძველებული ლუდის სურნელი „იფრქვევა“. კვლევებით მიღებული ეს შედეგები გზას უხსნის დიაგნოსტირებას „ელექტრონული ცხვირის“ მეშვეობით. ლოგიკა მარტივია — თუ სურნელი ისეთი მძაფრია, რომ ადამიანი შეიგრძნობს, მას მგრძნობიარე „ელექტრონული ცხვირი“ აუცილებლად აღმოაჩენს. მეცნიერები აცხადებენ, რომ ასეთი აპარატურა ორგანიზმში სიმსივნურ ცვლილებებსაც ამჩნევს და ერთ-ერთი ასეთი მოწყობილობა BreathLink მკერდის კიბოს გამოსავლენად უკვე შემუშავებულია.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	2	1	8	5	4	7	6	3
8	7	6	3	2	1	9	5	4
3	5	4	7	9	6	2	1	8
2	8	9	6	4	3	5	7	1
1	4	7	5	8	2	3	9	6
6	3	5	1	7	9	8	4	2
7	6	3	9	1	8	4	2	5
5	1	2	4	3	7	6	8	9
4	9	8	2	6	5	1	3	7

სტანდარტი

2	7	8	3	1	6	4	9	5
1	6	5	9	4	8	3	2	7
4	3	9	5	2	7	1	8	6
8	2	6	1	9	5	7	4	3
9	5	4	8	7	3	6	1	2
7	1	3	2	6	4	9	5	8
6	4	2	7	8	1	5	3	9
5	9	1	6	3	2	8	7	4
3	8	7	4	5	9	2	6	1

რთული

1	4	8	7	3	2	9	6	5
9	7	6	8	1	5	4	3	2
5	3	2	4	6	9	1	8	7
6	5	7	3	2	1	8	9	4
4	1	3	9	8	7	2	5	6
2	8	9	5	4	6	7	1	3
8	2	5	6	9	4	3	7	1
7	9	1	2	5	3	6	4	8
3	6	4	1	7	8	5	2	9

ექსპერტი

5	7	4	3	2	1	9	8	6
2	6	1	7	9	8	5	4	3
3	9	8	6	5	4	7	1	2
1	8	6	2	3	9	4	7	5
9	5	3	4	1	7	6	2	8
7	4	2	8	6	5	3	9	1
8	1	9	5	4	6	2	3	7
6	2	7	9	8	3	1	5	4
4	3	5	1	7	2	8	6	9

მე-12 გვერდი: 1. სპერმატოზოიდი; 2. დეკეული; 3. ტერფი; 4. დეკარტი; 5. პლედი; 6. ტრანზისტორი; 7. აზნაური; 8. ოლიგარქი; 9. ორმო; 10. დეტალი; 11. ოფსაიდი; 12. სკა; 13. იოანე; 14. იბიცა; 15. ნეისმიტი; 16. ბიოგრაფია; 17. ესე; 18. ომიკრონი; 19. ბალუ; 20. ოლე; 21. რიფსიმე; 22. ატა; 23. ბიორკი; 24. ოქმი; 25. აკიდო; 26. იტი; 27. უდე; 28. მცხეთა; 29. კაირო; 30. ივო; 31. ცინი; 32. ტაპირი; 33. ზვიგენი; 34. იარვეტი; 35. ემულსია; 36. ირაო; 37. ციგა; 38. კორტეჟი; 39. ლოსი; 40. სალვე; 41. ალსუ; 42. იონა; 43. სურგულაძე; 44. სია; 45. ელი; 46. თაფლი; 47. ნოა; 48. ოინი; 49. პოოპო; 50. ბალი; 51. რეიდი; 52. „პეჟო“; 53. ოდენსე; 54. ილტო; 55. სამოა; 56. დია; 57. ბის; 58. იაშინი; 59. ბობ; 60. მე; 61. მოა; 62. იასი; 63. რიმინი.

1.ოკეანეში მცურავი ყინულის მთა
2. კუშტქვეშა ჯერკვლის ჰორმონი
3.ქალაქის მცხოვ. აღმ-ნიშ. ტერმინი გერმანიაში
4.ქალაქი საფრან-გეთში
5. უაზრობა, სისულელე
6. დეკორა-ტიული ყვავილი
7. ცხვირით აღქმული შეგრძნება
8. მავ-რიტანიის დედაქალაქი
9. მკურნალობის ღმერთი რომ. მითოლოგ.
10. თბილი-სის უბანი
11. ჩოგ-ბურთელი ... ჯოკოვიჩი
12. ესტონეთის დედაქალაქი
13. ნაგვის ასასვეტი ნიჩაბი
14. დანის სუფსბურთო ნაკრების მთ. მწვრთნელი
15.პირენეის ნახევარკუნ-ძულის ლათ. სახელწოდ.
16. ზღა-პრული ცხენი
17. მურა ნახშირი
18. სახოტბო ლექსი
19.მოწოდება მიონარეთი-დან ლოცვი-სათვის
20. თვალის ფერადი გარსი
21.მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
22.საიდუმ-ლოებით მოცული, უცნაური
23. ბარ-სელონას საოპერო თეატრი
24. ევროპელი ებრაელების ენა
25.კურკოვა-ვი ხილი
26.ბგერის ანარეკლი
27. ძველი საბუთების საცავი
28. ზღვის მარტორქა
29. სასვითი ხელოვნების სასეობა
30. ზღვის ლაბისე-ბური ცხოველი
31.თაგვი ჯერის მეტოქე კატა
32. ამქვეყ-იური სიამოვ. უარმყო-ფელი
33. მართლმსა-ჯულების ქალღმერთი
34. ცნობილი გერმანელი მეკარე
35. ღმერ-თების დედა ვედიზმში
36.სამხ. გე-მების დიდი შენაერთი
37. იაპონ-ური ცივი იარაღი
38. ქალაქი თურქეთში
39.მწვადის შესაწვავი მოწყობი-ლობა
40.ჯარის საბრძ. წყობა ოთხკუთხე-დის ფორმით
41.ერთ-ერთი სახარების ავტორი
42. ძველოვანი წანაზარდი ცხოვ. თავზე
43. არაბული ფლეიტა
44.ჭეშ-მარიტების ქალღმ. ეგვპტ. მითოლოგ.
45. იგივე ამონიუმ-ქლორიდი
46. ქართული ფოლკ-ჯგუფი
47. ისრაელის წარმოების ავტომატი
48.ფრანგ. სპორტული თამაში ბურთებით
49.ბრაზ. უდიდესი ქალაქი ...-პაულუ
50. მუს-ლიმანთა სასულიერო მსაჯული
51. მამალი კვიცი
52. შხამიანი გომბეშო
53. ნახევრად ძვირფასი ქვა
54. მთის თუთიყუში
55. ბალერინა ილზე ...
56.მსოფლ. ერთ-ერთი საოც. ალე-ქსანდრიის ...
57. შარლოტა ბრონტეს „... ეარი“
58. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
59. თორმეტ-კუთხედი
60. საფქ-ვილე ყუთი წისქვილში
61. ქალაქი რაშაში
62. ჩინური ტანვარ-ჯიში
63. მშვენიერი ელენეს ქმარი
64. თმის მცენა-რეული საღებავი
65.დიდი ად-მინისტრაც. ტერიტორ. ერთეული
66.მთის წაწვე-ტებული მწვერვალი

მათხოვარმა მილიონიანი ქონება დააგროვა

საუდის არაბეთში, 100 წლის ასაკში ქალი გარდაიცვალა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქალაქ ჯიდას ცენტრში მათხოვრობდა და მილიონიანი ქონება დააგროვა. მას ქალაქის ყველა მცხოვრები იცნობდა, თუმცა არავინ იცოდა, რომ ქალაქის ცენტრში ოთხი სახლის, ძვირფასეულობის კოლექციისა და ოქროს მონეტების მფლობელი იყო. მეზობელი, რომელიც აიშას ბოლო წლებში უვლიდა, აცხადებს, რომ ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც მათხოვარმა ქონების შესახებ გაუმხილა — არაერთხელ ვთხოვე, მიეტოვებინა მათხოვრობა, მაგრამ ვერ გადავაფიქრებინე, ამტკიცებდა, შავი დღისთვის ვაგროვებ ფულსო. კუთვნილ სახლებში აიშამ ღარიბები შეუშვა და ქირას არ ახდევინებდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, მთელი ქონება სახელმწიფოს საკუთრება გახდება და იქ მცხოვრებ ოჯახებსაც ახალი თავშესაფრის ძიება მოუწევთ.

ბიზნესმენმა თავი 200 მილიონად დაიზღვია

200 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა ანონიმმა ამერიკელმა ბიზნესმენმა საკუთარი სიცოცხლის დაზღვევაში. მისი სახელი არ ხმაურდება, მითითებულია მხოლოდ ის, რომ სილიკონის ველზე, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე კომპანიის კუთვნილ მამულში ცხოვრობს. რამდენს მიიღებს დაზღვეული პირი ან მისი მემკვიდრეები უბედური შემთხვევის შემდეგ, არ არის ცნობილი, მაგრამ დაზღვევაში გადახდილი თანხის მოცულობით თუ ვიმსჯელებთ, რამდენიმე მილიარდ დოლარზეა საუბარი. ამ დაზღვევის თანხამ ორჯერ გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს, რომელიც 1990 წელს დამყარდა და ის შოუბიზნესში მოღვაწე ამერიკელ ბიზნესმენს ეკუთვნის.

ტელეკომპანია „თრიალეთი”

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

რეკლამა „თრიალეთზე”
დაგვიკავშირდით

მარიხუანა კაცებისთვის საშიშია

მარიხუანას მოხმარება მამაკაცებში გინეკომასტიის განვითარებას იწვევს, — განაცხადეს ცოტა ხნის მეცნიერებმა. ეს დაავადება ძლიერი სქესის წარმომადგენლებს დიდ უხერხულობას უქმნის, რადგან ამ დროს მამაკაცებში მკერდის ქსოვილების ზრდა ხდება და ზოგჯერ ეს პროცესი იმდენად გამოხატულია, კაცი იძულებულია სპეციალური ბიუსტჰალტერი ატაროს მკერდის დასამალად, ასეთი მდგომარეობა კი ფსიქიკაზეც საკმაოდ მტკივნეულად აისახება, იმის მიუხედავად, რომ ჯანმრთელობა არ ზიანდება. სწავლულების თქმით, გინეკომასტიის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მარიხუანაა — მისი მოხმარებისას მამაკაცებში ტესტოსტერონის დონე ქვეითდება, თუმცა ეს მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემაა, პარალელურად, შეიძლება წარმოიშვას სპერმატოზოიდების ანომალია და სხვა დაავადებები.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.